# საერთო გაზეთი

№30/5 (387) • 12 აგვისტო, 2016 წ. • პარასკევი • ფასი 1 ლარი

საკვირაო დამატება


ეკა ბესელია, გედევან ფოფხაძე:

## მიმართვა ქართულ საზოგადოებას საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს



დღეს ყველასთვის ნათელია, თუ როგორ იყო ფორმირებული საკონსტიტუციო სასამართლო, სადაც მისი თავმჯდომარე, გ. პაპუაშვილის სახით, გვევლინებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესების დამცველად,რომლისთვისაც კანონზე მაღლა იდგა ყოფილი მმართველი პარტიის პოლიტიკური ინტერესები



გიორგი გაჩეჩილაძე:

## გლობალური დათბობის გამო, სტიქიური მოვლენების გააქტიურება გარდაუვალია!

## მფრინავი კომბოსტო





ერთ-ერთ გადაცემაში, მაშინ, როცა, ჯერ კიდევ მხოლოდ ფილოსოფოსი იყო, მარგველაშვილმა განაცხადა, დავუშვათ, მე გიორგი კი არა, მფრინავი კომბოსტო ვარო...

ისე კაცმა რომ თქვას, რა ბედი გვაქვს – ერთი გვყავდა და ქინძი ვარო იძახდა, ეს კი მფრინავ კომბოსტობას იჩემებს...

კობა არაბული:

## ვინ შეაბრუნებს უკან „პანდორას ყუთიდან“ გამოდევნილ ეშმაკებს?



„ნაციონალების“ შარდის ბუშტები ყველა ხის ქვეშ, ყველა მოსახვევში დგანან და ძაღლებივით აშარდავენ ქვეყანას

## მათ სურთ მთელი დედამიწის მოსახლეობა „ნემსზე შესვან“

## ექსპერიმენტი კაცობრიობის წინააღმდეგ

შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო...

## ჰოლივუდის მრავალშვილიანი მამები

# მიმართვა ქართულ საზოგადოებას
# საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს



ჩვენი განცხადების მიზანია, ქართულ საზოგადოებას და საერთაშორისო თანამეგობრობას კიდევ ერთხელ ვაჩვენოთ ნაციონალური მოძრაობის სახე, ამჯერად მის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკურ იარაღად გამოყენების მცდელობის მაგალითზე.

წლების განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ყველა სახელმწიფო სტრუქტურა და ინსტიტუტი იყო პოლიტიზებული, ისევე როგორც საკონსტიტუციო სასამართლო. რეალურად არანაირი ზღვარი არ არსებობდა სახელმწიფო ინსტიტუტებსა და მაშინდელ მმართ ველ პარტიას შორის. სწორედ ამ უკანასკნელსემსახურებოდა ყველა სახელმწიფო ორგანო. თავის მხრივ,პარტია ატარებდა ერთი ადამიანის და მასთან დაახლოებული მცირე ჯგუფის ინტერესს.

დღეს ყველასთვის ნათელია, თუ როგორ იყო ფორმირებული საკონსტიტუციო სასამართლო, სადაც მისი თავმჯდომარე, გ. პაპუაშვილის სახით, გვევლინებოდა„ ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესების დამცველად,რომლისთვისაც კანონზე მაღლა იდგა ყოფილი მმართველი პარტიის პოლიტიკური ინტერესები და სადაც წამყვან ძალას ამავე პარტიისთვის „განსაკუთრებით საიმედო“ პირველი კოლეგია წარმოადგენდა. სწორედ ეს უკანასკნელი იყო ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური საქმის უპირობო განმხილველი, ვინაიდან იგიდაკომპლექტებულია ერთი პოლიტიკური გუნდის წევრებით, რომლებიც წლების განმავლობაში ერთმანეთთან დაკავ შირებული იყვნენ მეტად მჭიდრო სამსახურებრივი და პირადი ურთიერთობებით.

სასამართლოს თავმჯდომარისა და მასთან გამორჩეულად დაახლოებული რამდენიმე მოსამართლის მოქმედებების შინაარსი სრულად შეესაბამება „ნაციონალური მოძრაობის“ ხელწერას და აშკარად გამოიკვეთა, რომ ზემოხსენებული პოლიტიკური ძალის უკანასკნელ საყრდენს წინასაარჩევნო ქაოსისა და „ხელოვნური პოლიტიკური კრიზისის“შესაქმნელად სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს ეს ჯგუფი წარმოადგენდა, რომელიც, „საკონსტიტუციო რევოლუციის“ სცენარის ჩაშლით გაწბილებული, კვლავ ცდილობს შეასრულოს პარტიული დავალება.

როგორც კი საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენიმე მოსამართლემ შეძლო თავის დაღწევა პარტიული გავლენისგან, ვინაიდან ისინი მიხვდნენ, რომ შესაძლო დესტრუქციული მოქმედებებით საერთოდ შესაძლოა ქვეყანა ამოვარდნილიყო ნორმალური განვითარების კალაპოტიდან, და ყოფილ სახელისუფლებო გუნდს არ მისცეს საკუთარი თავით მანიპულირების საშუალება, მათ



წინააღმდეგ მყისიერად ამუშავდა „ნაციონალური მოძრაობის საააგიტაციო მანქანა“.

კერძოდ, ორი კვირის წინ საკონსტიტუციო სასამართლოს უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა საარჩევნო პროცესში კოლაფსის შექმნას. გასაჩივრებული საარჩევნო ნორმების გაუქმების შემთხვევაში, რეალურად დარჩენილი მცირე დროის გათვალისწინებით, საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შესაძლებლობა.

სწორედ ამის შემდეგ დაიწყო საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ღია პოლიტიკური, თუმცა,აშკარად პროვოკაციული განცხადებები მოსამართლეთა მიმართ ზეწოლის განხორციელების თაობაზე.

პერსონალური ზეწოლის ფაქტი არ დაადასტურა მთავარ საგამოძიებო ორგანოში დაკითხულმა არც ერთმა მოსამართლემ.

უფრო მეტიც, სასამართლოს 5-მა მოსამართლემ, თავის მხრივ, განცხადებით გამოააშკარავა ის მეტად სერიოზულიკანონდარღვევები, რომლებიც ხდებოდა სასამართლოში. კერძოდ, ეს იყო:

— სარჩელების ფარული შეცვლა პოლიტიკურად სენსიტიურ საქმეებზე, მოსარჩელის ინტერესების სასარგებლოდ;

ე.წ. „პოლიტიკურად აქტუალური“ სარჩელების გამიზნულად, მხოლოდ ე.წ. „სანდო“ 1-ელ კოლეგიაზე და იქაც გამორჩევით მის 3 მოსამართლეზე განაწილება;

კონკრეტულ საქმეთა გამორჩევა პოლიტიკური ნიშნით და მათი უპრეცედენტოდ მოკლე დროში განხილვა რიგითობის პრინციპის დარღვევით.

ამ ფაქტების გამოაშკარავე-



ბის შემდეგ, უკვე თავად ეს მოსამართლეები გახდნენ თავდასხმისა და შეტევის ობიექტები ნაციონალური მოძრაობის, მისი პარტნიორი პარტიებისა თუ მათი სატელიტი ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. ისინი საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოშლილ ორგანოდ, ხოლო სასამართლოს უმრავლესობას — წერილის ავტორ 5 მოსამართლეს (სასამართლო სულ 9 წევრისგან შედგება) უღირსებად და დისკრედიტებულად აცხადებენ.

რეალურად კი, მათი აგრესიის მიზეზი გახდა, ერთი მხრივ, საკონსტიტუციო საბოტაჟის გეგმის ჩაშლა, ხოლო მეორე მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, მის ზოგიერთ მოსამართლესა და ყოფილ სახელისუფლებო პარტიას შორის ფარული გარიგებების გამოაშკარავება.



**უფრო კონკრეტულად კი, გამოაშკარავდა შემდეგი დარღვევები:**

1. გამჟღავნდა მეტად სკანდალური ინფორმაცია, რომ ფარულად იცვლებოდა სასამართლოში უკვე ოფიციალურად შესული სარჩელები, ანუ პრაქტიკულად გამოიკვეთა მოსამართლეთა ერთ ჯგუფსა და გარკვეულ მოსარჩელეებს შორის ფარული თანამშრომლობის ნიშნები. კერძოდ, სასამართლოში შესულ სარჩელს, სავარაუდოდ, გადამოწმების შემდეგ შენიშვნებით უბრუნებდნენ მხარეს და მას უკვე შესწორებული, შინაარსობრივად და ასევე მოთხოვნების კუთხით გაზრდილი სარჩელი შეჰქონდა, რომლითაც ხდებოდა



იგივე სარეგისტრაციო ნომრით ძველი სარჩელის ჩანაცვლება. ეს, ცხადია, კეთდებოდა იმ მიზნით, რომ ხელი არ შეშლოდა მის დაკმაყოფილებას,ანუ იკვეთება, რომ პრაქტიკულად წინასწარვე გადაწყვეტილი იყო საქმის შედეგი და სასამართლო განხილვები მხოლოდ ფარსი იქნებოდა. ჯერჯერობით ცნობილი გახდა 2 ასეთი სავარაუდო შემთხვევა და ორივე მათგანი პოლიტიკური ნიშნით გამორჩეულ საქმეებს ეხება: 1-ლი ეს არის ე.წ. „კაბელების საქმის“ სარჩელი, ხოლო მე-2 შემთხვევაში რუსთავი-2-ის ერთ-ერთი, ამჟამად უკვე მის სასარგებლოდ გადაწყვეტილი საქმე.

2. აღმოჩნდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ახდენდა შემოსული, პოლიტიკური ნიშნის შემცველი, ზოგიერთი სარჩელის გა მიზნულად ერთსა და იმავე მოსამართლეებისთვის განაწილებას. ეს ხდებოდა ძირითადად „სანდო“ 1-ლი კოლეგიის ფარგლებში, თუმცა აქაც ხდებოდა გარკვეული „გა-



მორჩევა“, კერძოდ, ასეთი საქმეები სისტემატურად „რატომღაც“ ამ კოლეგიის მხოლოდ 3 მოსამართლესთან (კ. ვარძელაშვილი, მ. კოპალეიშვილი, მ. ერემაძე) ხვდებოდა, ხოლო მე-4 მოსამართლეს მ. ტურავას შეგნებულად არ ეწერებოდა მისი „არასანდოობის“ გამო. აქაც იკვეთება ის ვითარება, რომ წინასწარ პოლიტიკური ნიშნით გამორჩეული საქმეები ხელოვნურად ხვდებოდა ზემოაღნიშნულ მოსამართ-

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.





ლეებთან, რათა მათ „საჭირო“ შედეგი დაეყენებინათ, ანუ კონკრეტული მოსარჩელეებისთვის საკონსტიტუციო სასამართლოში არსებობდა „პერსონალური“ კოლეგია, რომელიც ასეთ საქმეებს „განსაკუთრებულ“ რეჟიმში იხილავდა. აღარაფერს ვამბობთ მე-2 კოლეგიაზე (იქაც აგრეთვე 4 მოსამართლეა), სადაც ასეთი საქმეები, ცხადია, არ ნაწილდებოდა. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან მ. კოპალეიშვილი და კ. ვარძელაშვილი მოსამართლეობამდე წინა ხელისუფლების მთავრობის მაღალჩინოსნებიც იყვნენ, მეტად ახლო სამსახურებრივი და პირადი კავშირები აქვთ ნაციონალური მოძრაობის ბევრ მაღალჩინოსანთან, მათ შორის, ნ. გვარამიასთან (რომელიც ამჟამად ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორია), რისი კონკრეტული ფაქტებიც გაჟღერდა კიდეც და რის გამოც მათი აცილების საკითხი დადგა რუსთავი-2-ის საქმეზე. თუმცა,ცხადია, მათ მიკერძოებულად არ აიცილეს ეს საქმე,გააგრძელეს მისი განხილვა და დააკმაყოფილეს კიდეც ეს სარჩელი. ნიშანდობლივია, რომ ტელეკომპანია რუსთავი-2-თან დაკავშირებული რვავე (!!!) სარჩელი(საიდანაც ერთ-ერთზე გამოიცვალა სარჩელი) დაეწერა სწორედ 1-ლი კოლეგიის ამ 3 მოსამართლეს. ასევე მათ დაეწერათ თბილისის ყოფილი მერის გ. უგულავას სამივე სარჩელი, ე.წ. „კაბელების საქმის“ სარჩელი (სადაც ასევე სარჩელის შეცვლის ფაქტი ფიქსირდება). აგრეთვეამ მოსამართლეთა ჯგუფზე განაწილდა შემდეგი საქმეები: საარჩევნო სარჩელი (რომლის არდაკმაყოფილების მეორე დღესვე გ. პაპუაშვილმა დაიწყო პროვოკაციული განცხადებების გაკეთება), საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმე (სადაც ძველი სამეურვეო საბჭო აღდგა), საბანკო ზედამხედველობის სააგენტოს საქმე (სადაც იგი გაუქმდა), ე.წ. „ორგასაღებიანი მოსმენების სისტემის“ საქმე (სადაც ეს უკანასკნელიც გაუქმდა) და სხვ.

3. დადასტურდა, რომ ხდებოდა პოლიტიკურად საინტერესო სარჩელების გამორჩევა და მათი უპრეცედენტოდ სწრაფ ვადებში განხილვა, მაშინ, როდესაც სხვა „რიგითი“ საქმეები გაცილებით უფრო ადრეა (წლების წინ) სასამართლოში შესული და თავიანთი განხილვის რიგს ელოდებიან. გასული 10 წლის განმავლობაში პლენუმს არც ერთი საქმე არ განუხილავს 4 თვეზე ნაკლებ პერიოდში (გარდა 2 გამონაკლისისა - გ. უგულავას 2 სარჩელი) და სხვა შემთხვევებში საქმეთა დიდი უმრავლესობა პლენუმის მიერ განხილულია 7-დან 20-თვემდე პერიოდში. ამ მაჩვენებლის ფონზე აშკარად თვალშისაცემია, რომ ტელეკომპანია რუსთავი 2-ის საქმესთან დაკავშირებული ერთი სარჩელი სასამართლო პლენუმმა არსებითად განიხილა მისთვის გადაცემიდან მე-2(!), ხოლო ამავე ტელეკომპანიასთან დაკავშირებული მეორე სარჩელი - გადაცემიდან მე-3 დღეს. ასევე ტელეკომპანია რუსთავი2-თან დაკავშირებულ სხვა სარჩელზეც საკონსტიტუციო სასამართლომ, სარჩელის შესვლიდან რამდენიმე დღეში, კანონის ნორმის მოქმედება შეაჩერა ზეპირი მოსმენის გარეშე, ანუ ისე, რომ მხარეებს ფორმალურადაც კი არ მოუსმინა და, შესაბამისად, არც საშუალება მისცა თავიანთი პოზიციები დაეფიქსირებინათ აღნიშნულ საკითხზე. ასეთი პრეცედენტი (რომ მხარეთა დასწრების გარეშე შეეჩერებინოს კანონის ნორმა) ამ სასამართლოს არსებობის განმავლობაში მანამდე არასოდეს დაფიქსირებულა. ეს უპრეცედენტო შემთხვევებია საკონსტიტუციო სასამართლოს ისტორიაში და აშკარად ტოვებს დაინტერესების განცდას. ასევე პლენუმმა გ. უგულავას და ე.წ. კაბელების საქმის გაერთიანებული სარჩე-



ლების განხილვა გადაცემიდან დაახლოებით 1 თვეში დაიწყო, ხოლო გ. უგულავას ძველი 2 სარჩელი დაახლოებით 3 თვეში განიხილა. პრაქტიკულად მთელ ამ პერიოდში, საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობას წითელ ხაზად გასდევს მათ მიერ გარკვეული საქმეების გამორჩევა და უსწრაფესად განხილვა, რაც, ცხადია,ნაციონალური მოძრაობის ინტერესებს უკავშირდება. ამ ფონზე კი აშკარად ილახება იმ მოქალაქეების უფლებები, რომელთა სარჩელების განხილვის რიგითობა ირღვევა და ზოგიერთი მათგანი წლებია ელოდება ამ უფლების რეალიზებას.

სწორედ ზემოაღნიშნულ საკითხებზეა გამახვილებული ყურადღება საკონსტიტუციო სასამართლოს უმრავლესობის წერილში, რომლითაც მათ მიმართეს თავმჯდომარეს, რათა აღარ ყოფილიყო ასეთი სუბიექტური მიდგომები და სასამართლოს ემუშავა მშვიდ, თანამიმდევრულ და არაფორსირებულ რეჟიმში, სადაც ყველა მხარისთვის დაცული იქნებოდა თანაბრობის პრინციპი.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობა სრულიად მორგებული იყო ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური დღის წესრიგს. კერძოდ, როდესაც ამ ოპოზიციური პარტიის მიერ გაწეული გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად,ამჟამინდელი ხელისუფლება იღებდა კონკრეტულ კანონებს პარლამენტში, რაც ითვალისწინებდა მთელი რიგი ინსტიტუციონალური რეფორმებისა და პრინციპული პოლიტიკური საკითხების დარეგულირებას, მაშინვე საქმეში ერთვებოდა საკონსტიტუციო სასამართლო, სადაც სწრაფად შედიოდა სარჩელი ნაციონალური მოძრაობის დეპუტატების ან მათი წარმომადგენლების მიერ და იგი ნაწილდებოდა „სანდო“ 1-ელ კოლეგიაზე. ეს უკანასკნელი კი ხშირად სასწრაფო წესით ჯერ შეაჩერებდა ამ კანონის მოქმედებას, შემდეგ კი ასეთივე ფორსირებულ რეჟიმში აუქმებდა გასაჩივრებულ კანონს. ასეთი მაგალითები მრავლადაა: საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ კანონის გაუქმება, რომლითაც უფლებამოსილება აღუდგა ძველ სამეურვეო საბჭოს და ხელოვნური კრიზისი შეიქმნა ამ ორგანოში (ვინაიდან ძველი შემადგენლობა ნაციონალური მოძრაობის მხრდამჭერებით დაკომპლექტებული გუნდი იყო და შესაბამისად ამ ორგანოზე გავლენას შეინარჩუნებდნენ); საბანკო ზედამხედველობის სააგენტოს კანონის გაუქმება, რითაც საშუალება არ მიეცა ამ ახალშექმნილ ორგანოს ამოქმედებულიყო (იმ მიზნით, რომ წინა ხელისუფლების მიერ არჩეულ ეროვნული ბანკის პრეზიდენტს გ. ქადაგიძეს არ ჰყოლოდა მაკონტროლებელი ორგანო); ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ კანონის გაუქმება, რომლითაც გაუქმდა ახალამოქმედებული, ძველთან შედარებით აშკარად უფრო მაღალი სტანდარტის და კონტროლის 2-გასაღებიანი სისტემა (იმ მიზნით, რომ სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის ეფექტიანობა მაქსიმალურად შემცირებულიყო, მაშინ, როდესაც წინა ხელისუფლების დროს პრაქტიკულად არანაირი სტანდარტი ამ კუთხით არ არსებობდა და დანერგილი იყო ტოტალური და უკონტროლო მოსმენების სისტემა; ამ ახალი მოდელით კი გარე კონტროლის მექანიზმი შემოდიოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის სახით) და სხვ.

ასეთივე „წარმატებით“ აპირებდა ნაციონალური მოძრაობა და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გ. პაპუაშვილი უკვე „აპრობირებული თანამშრომლობის“ გაგრძელებას და რომ არა ბოლო პერიოდში პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს კანონმდებლობაში მიღებული ცვლილებები (რომლებითაც პლენუმის უფლებამოსილება გაიზარდა და სხვ.), პრაქტიკულად ქვეყანა დგებოდა გარდაუვალი საკონსტიტუციო საბოტაჟის საფრთხის წინაშე, რასაც ხელოვნურად დაგეგმილი პოლიტიკური კრიზისი (თანამდევი შედეგებით) უნდა გამოეწვია.

იმედს ვიტოვებთ, რომ აღნიშნულს მიეცემა შესაბამისი ობიექტური შეფასება, სწორად გაანალიზდება მიმდინარე მოვლენები, რათა მსგავსი ინსტიტუციონალური პრობლემები ჩვენი ქვეყნის წინაშე აღარ დადგეს და გარანტირებული იყოს სახელმწიფო და კონსტიტუციური ორგანოების მოქმე დება - მოქალაქეთა უფლებების დაცვის პრიორიტეტით, და არა რომელიმე პოლიტიკური ჯგუფისადმი მსახურებით.








**ეკა ბესელია**

**საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე.**

**გედევან ფოფხაძე**

**საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.**

## კობა არაბული:

# ვინ შეაბრუნებს უკან „პანდორას ყუთიდან“ გამოდევნილ ეშმაკებს?

### ეს „ნაციონალების“ შარდის ბუშტები ყველა ხის ქვეშ, ყველა მოსახვევში დგანან და ძაღლებივით აშარდავენ ქვეყანას



ხევსურეთიდან რომ ჩამოვბრუნდი აქ (ქალაქში) ახალი წყევლა-ანეკდოტი მოვისმინე. სომხებს უთქვამთ: ქვეყანაში თითო სააკაშვილი და ნათელაშვილი ნუ გამოგელიოთ. ჩვენი საქმეც კარგად იქნება და თქვენც იქნებით — „ისე რაო“.

აი, ეს „ისე რაო“ დაგვებედა ამ სომხებისა და სააკაშვილების და მისი „უბატონო პრაპორშჩიკების“ — შალიკოების, გირჩების და სოკოების ხელში: ზოგს ქარი რომ ჩამოყრის და ზოგი მიწიდან რომ ამოიჭრება შხამიან სოკოსავით...

ამის საპირისპირო სიტყვაც მოვისმინე ფშავში: ისეთი მთავრობა ნუ მოგცეს ღმერთმა, ხალხის სიტყვას ერთ ყურში რომ შეუშვებს და მეორეში გაუშვებსო!..

ეს სენი ჩვენს მთავრობასაც გადმოჰყვა, ეტყობა, „მომყოლის-დაყოლილი (?!) არადა, ასე არ არის, სამწუხაროდ!

ხევსურს უთქვამს, ერეკლე მეფისთვის: „ორს რომ შენ იტყვი, ერთი ჩემიც გაიგონეო“... აქ ეს ახსოვთ, ორიდან ან სამიდან ერთის გაგონება ხელისუფლებისთვისაც სასარგებლო იქნებოდა და ქვეყნისთვისაც.

აქ ისიც ახსოვთ, როდესაც ტოტლებენმა ასპინძის ომში უღალატა მეფეს და გამოექცა ბრძოლის ველიდან, ერეკლემ ტოტლებენისთვის დადევნება განიზრახა, მაგრამ მას „შვიდნი იგი ხევსურნი, მცველნი მეფისა ერეკლისნი“ გადაუდგნენ და ომის გაგრძელება ურჩიეს“. მართლაც მეფემ დაუჯერა მათ და ეს ისტორიული ბრძოლა ბრწყინვალედ მოიგო, ამ ფაქტს ანდრეზი ინახავს და ისტორიაც გვიდასტურებს — ეს ფაქტი მიუთითებს თუ როგორ უგდებდა მთის ფონდი (და კანონი) ფიქციად (ანტიფონდად) ექცია, მთის საზღვრების (ზონების) დაბლა, ბარისკენ ჩამოწევით... აგრეთვე „მთის ფონდი“ არ უნდა ყოფილიყო რომელიმე სხვა ფონდთან მიბმული, ის არ უნდა აღმოჩენილიყო სახელმწიფო ბიუროკრატიის ხელში და უნდა ემართა ცალკე (საგანგებო) საბჭოს მეცნიერებათა აკადემიის და თემის კაცების მონაწილეობით, რომელიც ყოველ ისტორიულ კუთხეს ჩვენი მთიანეთისას მისცემდა საკუთარ „წილს“ (კვოტას) საკუთარი სამეურნეო სივრცის და ეთნოკულტურის აღსადგენად...

20 მილიონიდან, რომელიც სახელმწიფოს მიერ ჩაიდო ამ ფონდში, 10 მილიონი ინფრასტრუქტურის სამინისტრომ წაიღო (წაგვართვა), ხოლო დარჩენილი 10 მილიონი მიაბეს სხვა ფონდებს, დაანაწევრეს 5000-ლარიან კვოტებად (გარკვეული „ზალოგის“ მოთხოვნით), რომელსაც არავითარი შედეგის მოტანა არ შეუძლია — რა უნდა გააკეთოს ერთმა, თუნდაც რამდენიმე ადამიანმა ამ ფულით? როგორ უნდა „გადაალაგოს“ მთლიანად დანგრეული სივრცის ანტურაჟი?

ჩვენ გვქონდა ამ ფონდის იმედი, შეიძლებოდა ყოველი ისტორიული კუთხისთვის (სულ 10-11 ასეთი კუთხეა) თითო მილიონის მიცემა მიზნობრივი პროგრამებისთვის, სასურველი სამეურნეო სისტემების, ეთნო-კულტურის და ტურისტული გარემოს მოსაწყობად, მსურველთა მისაბრუნებლად წინაპართა ნაფუძრებში. ასეთი იყო ჩვენი სათემო აღორძინების სქემა — შედეგი იქნებოდა ეფექტური და სწრაფი. ჩემს ანალიტიკურ წერილში კვირიკაშვილისადმი ყველაფერი ეს მქონდა ახსნილი, რომელსაც მხარს უჭერდა მეცნიერებათა აკადემიის მთიანეთის კომისია, მთიანეთის მოსახლეობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა... რომელიღაც ბიუროკრატიამ, რომელიღაც სახელმწიფო მაფიოზურმა კლანმა ეს 20 მილიონიც კი ვერ და არ გაიმეტა საქართველოს მთიანეთის ისტორიული სივრცის აღსადგენად, რომელიც მთელი ქვეყნის 75%-ს მოიცავს და მისი გადარჩენა ერის გადარჩენასაც ნიშნავს!!!



ისევ და ისევ რჩება კითხვა: ვინ აჩერებს ამ სასიკეთო პროცესებს, ვის არ სურს საკუთარი ქვეყნის გადარჩენა?! სულ მეჩვენება, რომ დადის რომელიღაც ქვეყნის რომელიმე მოხელე და რაღაცას კარნახობს ჩვენს ხელისუფლებას... საპირფარეშოშიც კი უთვალთვალებს მოქალაქეებს!!!

ამ თემის რეზიუმესთვის ვიტყვი: ჩემი ხევსურეთში ყოფნის დროს ჩემს თემში (დათვისგველეთ-მოწმაო) ორი აქაური ოჯახი ცდილობს დაბრუნებას. ერთმა დანჯღრეული ვაგონი მოათრია სადღაციდან და იმას აბამს ერთმანეთს — ეს ორი წელია, წვალობს, არავინ ეხმარება!..

კიდევ: ახალგაზრდა კაცი გაგა არაბული მოვიდა თავისი ცოლ-შვილით საკუთარი ნასახლარის აღსადგენად. ცარიელი ხელით მარტოკა შლის და „ალაგებს“ ძველ კედლებს, არავინ ეხმარება, არც მანქანის გზა აქვს...

როდის გადაალაგებს ის ამ კედლებს, რომ საცხოვრებლად აქციოს, ეყოფა ნებისყოფა, რომ



გან“ ადვილად ვერავინ თავისუფლდება — არ ვიცი, ეს რა არის — ამპარტავნება თუ ამბიცია.

რამდენი წერილი, რამდენი პროექტი, თემის კულრუტულეკონომიკური დაცვის მოდელი, ვერსია თუ კონცეფცია მაქვს (პირადად მე) მიწერილი და დაწერილი ხელისუფლების და ხალხის გასაგონად!..

ვხედავ: ხალხი მაინც რაღაცას ისმენს და კითხულობს — მირეკავენ, მხვდებიან და სურთ, რომ მე უფრო ხშირად ვწერდე ასეთ რამეებს...

ხელისუფალი კანტიკუნტად ისმენს, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა და რომელიც უფრო უნდა ისმენდეს, ის უფრო არ ისმენს. ეტყობა, მათ ჰგონიათ, რომ ისედაც იციან ყველაფერი, ანუ დედის მუცლიდან აქვთ თან ყურს ხელისუფალი მამაც მოყმეთა რჩევებს.

როცა ხელისუფალი — მეფე, პრემიერი თუ პრეზიდენტი (მით უფრო, ხამი მინისტრები) არ უსმენენ ხალხს, თემის რჩეულ (კითხულ) კაცებს, ასეთ ქვეყანას ათასგვარი ხიფათი ემუქრება — სად რა დაგენგრევა, სად რა დაგეცემა, ვერ გაიგებ...

გასაგებია „არცოდნის არცოდვა“ რწმენაში, მაგრამ ერში ერის კაცის (სახელმწიფო მოხელის) „არცოდნა“ და საქმის ისე ქმნა, ღალატის ტოლფასია ქვეყნისთვის... ცხრაჯერ გაზომე და გაჭერი, ყველას მოუსმინე და „ქმენი გულისა“, ანუ ბოლოს თვითონ გადაწყვიტე...

მე როდესაც ვწერდი ჩემს ვრცელ წერილში პრემიერ კვირიკაშვილს და გამოვთქვამდი ეჭვს იმ ხიფათზე, რასაც შეეძლო

მრტოკა (ღვთის ანაბარა) გაუმ-კლავდეს ამ საქმეს, თუ ადგება და წავა?! კარავი გაშალა და ის კარავიც სეტყვამ თავზე დააზია... რა ქნას ამ კაცმა, როგორ დაბ-რუნდეს?!

ასე წავიდა 5 წლის წინ აქ მოსული აჭაური შესანიშნავი კა-ცი. ორი წელიწადი ცდილობ-და ფეხის მოკიდებას საკუთარ მამულში. ვერავინ მიეხმარეთ, წავიდა და აზმეტაში სუციცხლე თვითმკვლელობით დამთავრა...

ასევე გული გაუსკდა ლე-ბოსკარში დაბრუნების მსურველ ავთო ჭინჭარაულს რამდენიმე წლის წინ, სდია ბიზნესმენებს და ხელისუფლებას, სახლის აღსად-გენად და მცირე მეურნეობისთ-ვის ერთი თეთრიც ვერ მოიპოვა და გული გაუსკდა...

ასეთია ჩვენი ხალხის და თე-მის ბედისწერა, ასე მთავრდე-ბა ისტორიები და თემ-სოფელი მკვდარი რჩება...

* * *

სამწუხაროდ, ამ „მთის ფონ-დის“ წესდებაში, რომელიც სა-მინისტროთა ბიუროკრატებმა დაამახინჯეს, არ დევს დაბრუნე-ბულთა დახმარების „ელემენტი“ — სახლის აღდგინებისთვის ან რამე სხვა შემწეობისთვის... მაშ, რად გვინდა ასეთი „ანტიფონ-დი“?! ვისთვის, რატომ ვიბრძო-ლეთ ჩვენ აკადემიის კომისიამ (და პირადად ამ წერილის ავ-ტორმა) წლების მანძილზე ეს კა-ნონი და ფონდი რომ ყოფილიყო, არავისთვის და არაფრისთვის?! „ისევ ისინი და იგივენი“ ჯალამ-ბრობენ“... და ხელიდან არ უშვე-ბენ არანაირ ფინანსურ ბერკეტს, ახლა ამ ფონდსაც ჩამოეკიდნენ!

საბჭოში, რომელიც შეიქმნა „მთის ფონდის“ მართვისთვის არც ერთი კაცი არ აღმოჩნდა/შეიყვანეს აკადემიიდან და თე-მებიდან შეყვანილი — ეს არის მავნებლური სახელმწიფო კაზუ-ისტიკა...

აქ ვწყვეტ ამ თემაზე საუბარს და ვიტოვებ იმედს, შემოდგომის-თვის (ალბათ, ახალი პარლამენ-ტისთვის?!), რომ „მთის კანონში“ შევიდეს კორექტივები და „მთის აღორძინების ფონდი“ გადავიდეს სათემო, სახალხო საბჭოს და აკადემიის კომისიის ხელში და სახელმწიფო გავიდეს ყოველ-გვარი „ანგარების სირციდან“

და ფონდი დატოვოს მთის თე-მისთვის ხელმისაწვდომ პრიო-რიტეტად...

* * *

თბილისში ჩამოსვლისთანავე რატიანი შემომეფეთა ეკრანიდან თავისი „ნარატივით — ეს მართ-ლაც ანტიგენი და ანტიქართული სულის „ნარატივი“.

თუკი ქართველები ჰომოსექ-სუალურ-ლესბოსურ „სტიგმებს“ ეუპირისპირდებით და ერთსქესი-ანთა ქორწინების კატეგორიული წინააღმდეგი ვართ, ეს რატიანის დემაგოგიით „რუსული ნარატი-ვი“ ყოფილა!

რა კარგები ყოფილან რუსე-ბი, „თუკი ეს მათი ნარატივია“!!!

რა გაზრწნილი და დამპა-ლი ყოფილა ეს ჰომოსექსუალი რატიანი, თვალმოჭუტული რომ ებრძვის ქართველი ერის ბიბ-ლიურ-ქრისტიანულ დასაბამს, თუკი ის ამ „ნარატივის“ პრო-ტესტანტია...

იყო), ისევ ის პაპარაცები, ის-ევ ის არასამთავრობოები, ისევ ის ლიბერასტი ნაცვლიშვილები და ხოშტარიები შემოგეფეთებიან ეკრანიდან! ამოვიდნენ ყელში და თვალებში „მაზოლები“ გაუჩინეს საზოგადოებას ამ სამთავრობო პარტია-ჯაყოებმა და ამ არა-სამთავრობო იურისტთა ასოცი-აციის პინგვინმა-სელაპებმა — გრანტიყლაპია-ქართყლაპიებმა...

ყველა არხზე — I-ზე, II-ზე, III-ზე, „რუსთავი-2“-ზე ამათმა ყაყანმა ჩაქოლა (დაავრუა) ქვე-ყანა. რა უბედურებაა? სხვა თე-მები, სხვა ხალხი არ არსებობს ამ ქვეყანაზე! ამის მოთმენა შე-უძლებელია, ნაცების დემაგოგია და ამ ჯაშუში ტელეარხების ძალადობა უნდა დავძლიოთ, არ-ჩევნების მერე ეს „ვაკხანალია“ უნდა დასრულდეს, ერი უნდა გადარჩეს!..

* * *

მერამდენედ და კიდევ ერ-



კელი ემისრების მხარდაჭერით და, კერძოდ, ამერიკის ელჩისგან, რომ სასამართლო დარბაზებში მოსამართლეებს ამყოფებენ ღია ტერორში! ეს გაუგონარი თავ-ხედობაა. ასეთი რამ სხვაგან



არ ხდება! მათ არავინ სთხოვს პასუხს, გამოხატვის თუ „სიტყ-ვის თავისუფლების“ მოტივით საზოგადოების შეურაცხყოფის მოტივით საზოგადოების შეუ-რაცხყოფისა და ცილისწამების-თვის, მაგრამ მათზე თქმული არ მიიჩნევა გამოხატვის თავისუფ-ლებად...

ეს ნაციონალების „შარდის ბუშტები“ ყველა ხის ქვეშ, ყვე-ლა მოსახვევში რომ დგანან და ძაღლებივით აშარდავენ ქვეყა-ნას, აზმობენ ზნეობრივ სივრცეს ერისას, საკუთარ დანაშაულთა კასკადს უბრუნებენ „ქართულ ოცნებას„, გადააწერენ საკუთარ უზნეობებს.

შეურაცხყოფენ ეკლესიებს და ტაძარს — XXI საუკუნის სვეტიცხოველს (!) ამ საუკუნის დიდოსტატის ქველობით შენე-ბულს.

„რუსთავი-2“-ის საშუალებით აყრიან წყევლას და „ქოქოლას“ ერის ყოველ სიწმინდეს და ყვე-ლა ჩვენგანს.

ეს ჯოჯოხეთი უნდა დას-რულდეს შემოდგომაზე 8 ოქტომბერს! ჩვენი ხალხი თუ გონზე ვერ მოვა და ამას ვერ შეძლებს, საკუთარ თავს დააბრა-ლოს, რაც მიემთხვევა...

დასასრულს რეზიუმეს სახით მინდა რამდენიმე კითხვა დავსვა საკუთარი თავისთვის და საზო-გადოებისთვისაც, ზოგიერთ მათ-განს პასუხი გავცე...

რა ეშველება ამ „პანდორას ყუთიდან“ გამოდევნილ ეშმაკებს,

კაცს, ქართველს, რომელსაც არ სურს, ოჯახის შექმნის სა-ფუძვლად ქალის და კაცის (მამ-რის და მდედრის) კავშირის აღი-არება კონსტიტუციით და ისე-დაც მართლაც არაქართველია, ამ მიწაზე, ამ ხვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში არყოფნის ღირსი... ქართველმა ხალხმა უნ-და დაინახოს ეს და იმოქმედოს ამ „ნაცისტი“ პედოფილების და ჰომოსექსუალების ასალაგმად სწორედ ახლა, ამ არჩევნებზე, ნოემბრის თვეში...

შემოხვალ თუ არა საკუთარ ქალაქში (გეგონება სოდომში

თხელ უნდა ვთქვა საყვედუ-რი და გამოვხატო აღშფოთება: „ქართულმა ოცნებამ„, საკუთარი თავი მოაქცია თვითიზოლაცია-ში, შევიდა უტელევიზიო უპია-რო სივრცეში საკუთარი ნებით, გაიუქმა ყოველგვარი რეკლამა, დატოვა ყველა ოპოზიციური ტე-ლევიზია, დატოვა ქვეყნის დამაქ-ცევრის ტელეარხი, რომელსაც დევნილი ჯალათი კურორებს და არ დატოვა პოზიტივი მასმედი-აში საკუთარი თავისთვის და ერისთვის, თავისი მხარდამჭე-რებისთვის. გვარამიები იმედნად გათავხედდნენ ევრო-ატლანტო-



მოიქცევიან ოდესმე ისინი ანგე-ლოზებად? ანუ კირჩხიბი ისწავ-ლის სწორად სიარულს?

„ქართული ოცნება“ ამაოდ ცდილობს მათ გამოსწორებას და გამოკეთილშობილებას, ისინი მორიელებად რჩებიან და შხამს აწვეთებენ თაფლში...

მათი ცოდვები და დანაშაუ-ლებანი, მათი ცდუნებანი ისეთ კრიტიკულ ზღვარზეა და იმდე-ნად დამძიმებულია, რომ მათი დაძლევა არც თვითონ და არც სხვების დახმარებით არ შეუძ-ლიათ.

ადამთა ჯგუფის, კასტის, სექ-ტის ასეთი მდგომარეობა მეტად სახიფათოა. ისინი გაწირავენ ყველაფერს, არ დაინდობენ არა-ვის, საკუთარ მშობელსაც კი და ბოროტი ენერგიით, მორიელის შხამით, შავი პიარით მოკლავენ!

ამდენად, მათი ცოდვების „გადმოწერა“ და შერბილება — „კაპიტაციური“ რეჟიმი საბე-დისწერო შეცდომად რჩება!

საჭიროა მათი ქცევის, მათი ენერგიის, მათი ბოროტების შექ-ცევა და უკან შებრუნება მათივე „სხეულში“, იმავე „ხაჭოს პარ-კებში“, იმავე „პანდორას ყუთებ-ში“, საიდანაც გამოძვრნენ...

ეს გახლავთ ერთი სენტენ-ცია: მათ აქვთ საკუთარი ღმე-ები, საკუთარი „შავი მთვარის“ კოშკების მცველი (სატანების) იმედი.

საჭიროა მათზე შეტევა და გაფრთხილება. საჭიროა „იერი-ში“ ქაჯეთის ციხეებზე: რამ-დენიმე საელჩოზე, რამდენიმე არასამთავრობოზე და რამდენიმე ტელევიზიაზე...

ომი ფარული და ღია, საკ-რალური და მისტიკური ამ სა-ტანური მტრის წინააღმდეგ ისე-თივე რიტუალად უნდა ვაქციოთ, როგორც ტაძრებში ლოცვათა მისტერია.

ეს არის ჩვენი ომი ფატალუ-რი მტრის დასაძლევად (როგორც მთაშია) ხორციელი და უხორცო მეომარია და ხვთის შვილთა კავ-შირით აღძრული, შეუქცევადი: ხელშეუვალები, დაძლეული შიშის ზღვარზე მდგარი!..

ასეთი „ომის გარეშე“ ჩვენ ვერ გავიმარჯვებთ, ამას გვკარ-ნახობს მთის (ანდრეზის) სიბრ-ძნე, დაწერილი ამ დროისთვის, იმ დროში!

უნდა ვიკითხოთ (და ვიცით): ადამიანის, ან ადამიანთა კას-ტის რა მდგომარეობაა ის, რომე-რი ენერგიაა ჩაგუბებული მათში,

6 გვ.

# ვინ შეაბრუნებს უკან „პანდორას ყუთიდან" გამოდევნილ ეშმაკებს?



5 გვ.

როდესაც მათ შეუძლიათ ყველაფრის გაწირვა და დავიწყება, მათ შორის საკუთარი წინაპრის და მათ მიერ მიცემული წესის, მათ შორის ხვთის განგებულების და ბუნებით მიცემული წესის... მათ შორის გენური კოდის და სქესობრივი განშტოების...

ადამიანთა რა კატეგორიაა ასეთი (მაგალითად, ბოკერია-თარგამაძეები, გაბაშვილები, ბარამიძეები, ვაშაძეები, ჩიორები, ოშტარიები, ვინმე კახიძის ტიპის მკვლელთა ადვოკატები და თვით სანჩო პანსა ბაქრაძე და სხვა მათი კლონები), რომელთაც დაავიწყდათ, როგორ ჩაკლეს ერი საპყრობილეთა მორგებში, როგორ გააუპატიურეს, როგორ აყარეს საკუთარი სახლკარიდან, მიწა-წყლიდან, როგორ დააქციეს სვანებს საკუთარი კოშკები თავზე (კუბდარს რომ ითხოვდნენ), როგორ ჩააბარეს კოდორი და სამაჩაბლო, როგორ გამართეს კონცერტი საკუთარი მიცვალებულების გვამებზე, როგორ ამოთხარა პარლამენტის ისტორიული შენობა შიგნიდან „ბასტი-ბუბუმ", კიტოვანმა ზარბაზნებით რომ ვერ დაანგრია... და ა.შ. და ა.შ. ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ უნდა გვახსოვდეს.



ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, ცოდვილს, ჯალათს და დამნაშავეს რატომ არ შეიძლება ახსოვდეს თავისი ცოდვები და ცდილობდეს დავიწყებას...

მაგრამ ნუთუ ყველაფერი ეს დაავიწყდა ქართველ ხალხს (?) ქუჩაში ღიმილის უნარი რომ ჰქონდა წართმეული, ხელის ჩამორთმევისას აქეთ-იქით რომ ვიყურებოდით...

ნუთუ ასეთი მოკლეა ადამიანთა მეხსიერება, ეს ყველაფერი ხომ 3 წლის წინ იყო, ანუ სამი წუთის და 3 დღის წინ, ანუ გუშინ?!

ციხეებში ჩახოცილი პატიმრების გვამებს რომ მოვასვენებდით ჩუმად...

ცხინვალში ჩახოცილი მეომრების გვამებს რომ მოვასვენებდით ჩუმად, ზოგს იქვე ვტოვებდით სიცხეში დაყრილთ, ზოგის გვარ-სახელს (რიცხვს და რაოდენობას) მშობლებსა და დაძმებსაც კი ვუმალავდით!

ჩაცხრილულ ახალგაზრდებს რომ ვკრეფდით ქუჩებში, სააკაშვილის „ტოლერანტობის" ნაოხარს!

ქართველი ერის ნაღები, მისი სიამაყე — ქართველი ინტელიგენცია, მწერლობა, მეცნიერები, ინტელექტუალური საზოგადოება რომ გამოვდევნეთ ქუჩებში და გარიყული („ჩარეცხილი") ფსიქო-ნერვიული სტრესით ჩაიხოცა წიგნის ბორდიურებზე და მიწისქვეშა გვირაბებში ხელგამოწვდილი... საკუთარი ისტორიული შენობებიდან, კავშირებიდან, აკადემიებიდან, უნივერსიტეტებიდან განდევნილნი...

ვინ, რომელი ებრძოდა საკუთარ ხალხს და ქვეყანას ამგვარი სისასტიკით და სადიზმით?!

მონღოლები ინდობდნენ და იწყალებდნენ ქართველ რაინდობას და ღირსებებსაც აფასებდნენ...

აღა-მაჰმადხანმა სვეტიცხოველი დაინდო... თქვენ არც ერი არ დაინდეთ, არც ბერი, არც ტაძარი და სასაფლაო...

ახლა რომ დადიხართ და ხმის მიცემას ითხოვთ, კვლავ დაბრუნებას რომ ლამობთ, რომელი კოდი გკარნახობთ და გაიძულებთ ამ ახალ, გაუგონარ უზნეობას... სად უნდა დაბრუნდეთ, როგორ უნდა იცხოვროთ, რომელი ქვეყანა უნდა ააშენოთ! — ერთხელ რომ ამოთხარეთ და მერე „ბაბილონივით" რომ გარიყეთ. ტიგროსი რომ მიუგდო ასუსმა ტირანმა, ნერონივით რომ დაწვით და აყარეთ, იქ უნდა დაბრუნდეთ!

თქვენი აქ დაბრუნება ისევე არ უნდა მოხდეს, როგორც, ჯერჯერობით, აქ მკვდართა დაბრუნება არ მოხდება!!!

ეს უნდა ახსოვდეს ქართველ ხალხს და 7 ნოემბერს საარჩევნო ყუთებიდან გამოიდევნოს თქვენი სული და სახელები...

თუ ქართველ ხალხს მართლა დაავიწყდა ეს „აპოკალიფსი" და ვერც არჩევნების დღეს „გაიხსენებს" (როცა საარჩევნო ყუთთან დადგება), მაშინ ყველაფრის ღირსი ვყოფილვართ!

ქართველმა ხალხმა ესენი უნდა „ამოთხაროს" და „გაამძევოს" საარჩევნო ყუთებიდან. მათი განაყარი კლონებიან-სოკოებიან-ორეულებიანად, მათი მეკავშირე ლიბერასტებიანად, თავისი მასონი ლობებიანად! არ მიეცეს არც ერთი ხმა — ეს უნდა იყოს ქართველი ერის ამოცანა ამ არჩევნებზე, თუ ქვეყნის გადარჩენა გვინდა!

მანვე დაიბრუნოს და შეიყვანოს იმ „პანდორას ყუთებში", ვინც გამოიყვანა, წაიყვანონ და „შეიწირონ" ეს არასამთავრობოები თავისმა ხელდამსხმელებმა, მათი „შესაწირი" იყოს! წაიყვანონ და „შეიწირონ" ეს ტელევიზიები და ლიბერასტები. გასაკვირია, როგორ მოახდინეს მათ ყველა არხის „ექსპროპრიაცია", ეს სამარცხვინო რეალობაა ჩვენი ხალხისთვის!

როგორ და რატომ მივეცით მათ ერის ცნობიერების „გარეცხვის" და თაობათა ზომბირების ნება!

როგორ ვერ შევძელით ერთი იერიში ან აჯანყება ამ სატანათა შეთქმულების დასაძლევად?!

ყველაფერი ჩვენი ბრალია ის, რაც გვჭირს, უმადური ერის ტრაგედიაა ის, რაც გვჭირს, გვიან გაღვიძებული მონების სინდრომიც! „რაც მოგივა, დავითაო"...

* * *

გერს ჰკითხეს, ვის გააუპატიურებდი და ჩემს გამზრდელსო!

ჩვენ ვებრძვით საკუთარ თავს და საკუთარ მხსნელს, უფალს და მას, ვინც უფალმა მოგვიყვანა უეცრად (და თითქოს არსაიდან!) გააჩინა ჩვენთვის (!) და ვერ მოვისვენებთ, ვიდრე ისევ უფალი არ წაიყვანს უკან!

ესეც ჩემი სენტენციაა და სახიფათო ეჭვია...

ჩვენ საიდანღაც გვეძლევა გაუგონარი თმენის ტენდენცია და საკუთარი ღირსების დაუფასებლობის სინდრომი.

„ოცნებები" თვითონ ისმენენ და თვითონ ითმენენ, „ისინი", ქაჯები და მავნებლები არც ისმენენ და არც ითმენენ! ეს არის უმძიმესი „პარადიგმული" ვითარება და ტენდენცია? მე მიჭირს, თუ რა პასუხი მივცე ასეთ ქცევას და თმენას ჩვენი ხალხისას და „ოცნებისას".



— მე ვარ მართალი და შენა ხარ ის, რაც ვიყავი მე", — გეუბნება პირწავარდნილი მკვლელი და დამნაშავე, ქვეყნის დამაქცევარი, მიწა-წყლის მიმცემი და ერის ამყრელი საკუთარი მიწიდან.

შენ უსმენ და ითმენ!

ეს თმენა იმდენად შეუწყნარებელი და პარადოქსულია, რომ საზოგადოებას ეჩვენება: მართლა „ესენი" ხომ არ იყვნენ „ისინი" და „ისინი" „ესენი"-ო!

იქნებ მართლა ამათ წააგეს ომი რუსეთთან, იქნებ მართლა მათ მისცეს სამაჩაბლო და კოდორი, იქნებ სააკაშვილი არ იყო გამოქცეული, მიწას რომ თხრიდა ცხვირით და იყო ვინმე სხვა?!

იქნებ მართლა ესენი აფართოებენ საოკუპაციო ზონებს და ჩუქნიან რუსებს?

და იქნებ გახსოვთ მოლა ნასრედინის ტყუილიც, ხალხმა რომ ირწმუნა და ბოლოს თვითონაც დაიჯერა!

ეს სენტენცია ასეთია: ადამიანთა ფსიქოლოგია („ფსიქოტიპი") იჯერებს იმას, რაც არ სჯერა, ივიწყებს იმას, რაც სჯერა, ადამიანს ეჩვენება თეთრი შავად და მცირე — დიდად...

ზოგჯერ მოძალადე ურჩევნია მოყვარეს — „შიში შეიქმს სიყვარულსა" — ბრძანებს გენიოსი...

ეტყობა, შიშისმიერი სიყვარულით და მოთმინების სინდრომით ცხოვრება ურჩევნია ჩვენ ხალხს?!

უჯანყდება, დევნის ან კლავს მას, ვინც ათავისუფლებს, მტრად ეკიდება მას, ვინც ჩუქნის და აძლევს.

ვინც აუპატიურებს, ძალადობს და მორგში აწამებს და მერე უშვებს, ეტყობა ამ გაშვების სიხარული და დასრულებული ტანჯვის კმაყოფილება უხარია (და ურჩევნია) ჩვენ ხალხს!

თორემ როგორ შეიძლება სააკაშვილის და ნაცების ხსენებაც კი ამ ქვეყანაში, ამ მიწაზე — არამცთუ ხმის მიცემა თუნდაც ერთი კაცის მიერ!

ვინა ვართ ჩვენ საერთოდ და რა გვინდა?

რაღაც უნდა ვისწავლოთ და დავიხსომოთ!

როგორმე უნდა შევძლოთ „ბედისწერული" ზღვარის დაძლევა, რომ განგებამ კიდევ არ დაგვიბრუნოს XXI საუკუნის სატანა მეორე ჯერზე!..

# მფრინავი კომბოსტო

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა რეფერენდუმის ჩატარებაზე უარი განაცხადა, ფეისბუქვერდზე უამრავი ადამიანი ითხოვს მის გადადგომას, რადგან თვლიან, რომ მან ორასი ათას ადამიანზე მეტი „ფეხებზე დაიკიდა“... და ამჯერად ხელმოწერების აგროვებას პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით იწყებენ...

მანამდე კი, ჩვენი პრეზიდენტისთვის სახელების შერქმევამოფიქრება დაიწყეს ადამიანებმა... მაგალითად, ერთი ჯგუფი მარ-გველა-ს ეძახის, მეორე - არშემდგარ პრეზიდენტს, მესამე - „ნაცების ხელის ბიჭს“, მეოთხე - ლგბტ-ების პრეზიდენტს... მაგრამ, ყველაზე მეტად, მაინც თავად პრეზიდენტის მიერ არჩეული ზედმეტსახელი მომწონს: ერთ-ერთ გადაცემაში, მაშინ, როცა, ჯერ კიდევ მხოლოდ ფილოსოფოსი იყო, განაცხადა, დავუშვათ, მე გიორგი კი არა, მფრინავი კომბოსტო ვარო... კომბოსტოსგან დამზადებული ბორშჩი გამიგია, კომბოსტოსგან



რომ ბავშვები ჩნდებოდნენ, ეგაც მოსმენილი მაქვს, მაგრამ ეს ხვა კომბოსტოა, მეგობრებო, ეს მფრინავი კომბოსტოა...

ჰოდა, მფრინავმა კომბოსტომ უარი განაცხადა რეფერენდუმის ჩატარებაზე... უარი ისე თქვა, რომ რეფერენდუმის ჩატარების საინიციატივო ჯგუფსაც არ გაესაუბრა... არც მოსაფიქრებლად საჭირო ოცდაათდღიანი ვადა გამოიყენა... მზად ჰქონდა ეტყობა უარი და უარის მიზეზებიც დიდი ხნის წინ დაგეგმილ-მოფიქრებული...

ესაო, ისაო, თქვენი დიდი ხათრი არა, ისაო, მე, მფრინავი კომბოსტო გეუბნებით, რომ რეფერენდუმი არ ჩატარდება, იმიტომ, რომ ქვეყნის ნაწილი ოკუპირებულიაო.... როცა ქვეყნის ნაწილი ოკუპირებულია, რეფერენდუმს ვერ ჩავატარებო...

მაშ, ის ორ რეფერენდუმიო?

პირველმა განსაზღვრა საქართველოს ნება გაზდეს ჩვენი ქვეყანა ნატოს წევრი და მეორემ - საქართველოს ამჟამინდელი საკანონმდებლო აღმასრულებელი და თავად საპრეზიდენტო ინსტიტუტის ლეგიტიმაცია...

თქვენ ხომ ასე გიყვართ და ხშირად ახსენებთ ამ საპრეზიდენტო ინსტიტუტს, პატივი უნდა სცეთო, იმისდა მიუხედავად, როგორი ბიჭია პრეზიენტიო, ხომ ბრძანეთ არაერთხელ და ანუ ეს საპრეზიდენტო ინსტიტუტიც არალეგიტიმურია? და მხოლოდ იმის იმედად ვრჩებით, როგორი ბიჭია ჩვენი პრეზიდენტი?

ანუ, თქვენ, ბატონო, აბათილებთ ორი, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი რეფერენდუმის შედეგებს?

თქვენ გქონიათ, აბა, უფლებები, თუ გქონიათ...

და არჩევნები, ბატონო მფრინავო კომბოსტოვ?

არჩევნების ჩატარება შესაძლებელია, ოკუპირებული როცა გაქვს ტერიტორიები? იქნებ არჩევნებიც გაგვეუქმებინა და მუდამ თქვენ გვყოლებოდით პრეზიდენტად... თქვენზე უკეთეს პრეზიდენტს სადღა ვიპოვნით... არაფერი თქვენ არ გადარდებთ, არაფერი თქვენ არ გწყინთ, არაფერზე რეაქცია თქვენ არა გაქვთ, დგახართ და იცინით...

არც ფეხებში გვედებით, თქვენ ხომ დაფრინავთ...

მფრინავ კომბოსტოს გამოეხმაურნენ მფრინავი ჭარხლები, მფრინავი გოგრები და სტაფილოები: რეფერენდუმიო იცით როდის ტარდებაო?

როდისო, როდისო?

აი, როცა სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი საკითხია გადასაჭრელი და არა ასე თითიდან გამოწოვილ ამბავზეო...

და როგორ განისაზღვრებაო სახელმწიფოსთვის საკითხი მნიშვნელოვანია თუ არა? შემთხვევით, ამას ხალხის აზრი ხომ არ განსაზღვრავსო? ჰოდა, ხალხმა გამოხატა თავისი აზრი ხელმოწერით... არ არის საკმარისი? გრძელდება ხელმოწერები, რადგან რეგიონებს თითქმის არ მიუღია მონაწილეობა ამ ხელმოწერებში ჯერჯერობით... ეჭვი ხომ არ გეპარებათ, რომ მაცხოვრებელთა უმეტესობა ხელს მოაწერს? და თქვენ მეუბნებით, რომ ამდენი ადამიანის აზრი არ არის მნიშვნელოვანი? აბა რა არის მნიშვნელოვანი, მარგველაშვილის ფილოსოფიური ტრაქტატები?

არ არის მნიშვნელოვანიო?



უბანი კი არა, ქუჩა არ არის თბილისში სადაც ერთი ოჯახი მაინც არ ცხოვრობდეს ლგბტ-ების... და მათ, დაახაც ქორწინებაც სურთ და შვილების აყვანაც... ეს არის თითიდან გამოწოვილი? 55 წლის კაცი რომ 16 წლის ბიჭს ორალურ სექსს სთავაზობს ფულის სანაცვლოდ ეს არის თითიდან გამოწოვილი? 47 წლის ქალი რომ 22 წლამდე გოგოს ეძებს, უშვილოს და მკერდჩამოუწელელს, ეს არის თითიდან გამოწოვილი? ორ მეტრიანი ქართველი აზმაზი რომ მეუბნება, შემაცდინეს და მას მერე კაცებთან მივეჩვიეო, ეს არის თითიდან გამოწოვილი? და ეს - ძალა იზმარეს და მივეჩვიე, რომ უფრო და უფრო ხშირად მესმის ქართველი ბიჭისგან, ეს არის თითიდან გამოწოვილი? არ გცოდნიათ, გამოწოვა, ბატონო თქვენ... და იმ ბიჭებს ჰკითხოთ იქნებ, ვისაც ერთხელ ასწავლეს და მიეჩვივნენ, ან იმ ბიჭების ოჯახებს...

ისე, გამკვირვებია, ამ მფრინავი კომბოსტოსი... თითქოს მისთვის ყველაფერი სულ ერთია... აკი, ქორწინება საერთოდ არ მინდაო, რა აზრი აქვსო... მაინც ქე მაქვს სექსიო... კაი, ხო დავქორწინდები, ჯანდაბას, მაგრამ რა აზრი აქვსო, მაინც ქე მექნება მდიდრული სექსიო... და რაღა ლგბტ-ს ქორწინებისთვის მოიქნილა თავი? რა იყო, დაკანონების გარეშე იმათ ვერ აქვთ სექსი თუ როგორ არის საქმე?

მაგრამ, მფრინავ კომბოსტოს დაუფასდა შრომა... ლგბტ-ს წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს... გვასიამოვნა პრეზიდენტმაო... გვასიამოვნა, რომ ფეხებზე დაკიდა ქვეყნის მოსახლეობის 90 %-ის აზრი (ჰო, ყველამ ვიცით, რომ მოსახლეობის 90% ზუსტად ასე ფიქრობს და როცა ხელმოწერების აგროვება გაგრძელდება, ფაქტადაც დაფიქსირდება ადამიანების აზრი) და ჩვენ იმედი მოგვცაო... იმედი, რომ მალე ქორწინების ლეგალიზებას მოვახდენთო...

მართალია, სტაფილო და კომბოსტო გვეძახდნენ, რას ამბობთ, სად არის მაგის საშიშროება ქვეყანაში რომ კაცს ცოლი ერქვას ან ქალს ქმარიო, მაგრამ, ნასიამოვნებმა ლგბტ-მ თავი ვეღარ შეიკავა, რა ჰქნას, ვეღარ დაითია გულმა სიხარული...

ჰოდა, განაცხადეს ლგბტ-ებმა, პრეზიდენტს რომ რეფერენდუმის ჩატარება დაემტკიცებინა, რა გვეშველებოდაო, კიდევ ოცი წელი უნდა გვეცადა რომ ქორწინების ლეგალიზება მოგვეთხოვაო... უახლოესი ოცი წელი ვეღარ დავქორწინდებოდითო...

უი, რა მითხარით ეს... ანუ ამ უახლოეს ოც წელიწადში აპირებთ ქორწინების ლეგალიზებას?

ეჰ, თქვენ ოც წელს ვინღა დაგაკავებთ აწი... ისე გულმოცემულნი ხართ პრეზიდენტის თანადგომით, რომ შესაძლოა წელსაც დაიწყოთ ქორწინების დაკანონებისთვის მზადება...

ჩვენი კომბოსტო კი მშვიდად დაფრინავს და ჭარხალს გვიგზავნის მესიჯის მოსატანად:

იცითო, თქვენო, რას გადაგვარჩინა პრეზიდენტმაო?

ვაიმე, ახლა რომ ეს რეფე-



რენდუმი ჩატარებულიყო რუსეთს დავემსგავსებოდითო... იმ ოკუპანტ, საზიზღარ რუსეთსო... აი, რა შორსმჭვრეტელია ჩვენი მფრინავი კომბოსტო, თქვენ თქვენით მაგას მოიფიქრებდითო?

არა, ჩვენ საიდან და როგორ მოვიფიქრებდით, რომ რუსეთი მართლმადიდებელი ერია და ერთსქესიანთა ქორწინებას არ დაუშვებს?

ჩვენ როგორ მივხვდებოდით, რომ რუსეთი დიდია, მაგრამ ერთმორწმუნე და თავის პატრიარქს შეიძლება სუფრასთან არ ადღეგრძელებს, მაგრამ პატრიარქის ქადაგებებს ისმენს და უჯერებს?

კარგით, არ გვინდა მართლმადიდებლური ქვეყნის მაგალითზე საუბარი, ნუ გვინდა... მუსლიმანურ ქვეყნებს გადავხედოთ... ხომ ვართ ტოლერანტებიო? ხომ არ განვიხილავთ რჯულის მიხედვით ადამიანებს? ხომ არიან ჩვენი მეგობრები მუსლიმანები? ჰოდა, რომელ მუსლიმანურ ქვეყანაშია დაკანონებული კაცის და კაცის, ქალის და ქალის ქორწინება, აბა? არ გვინდა, იგივე გავაკეთოთ რაც მართლმორწმუნე რუსეთმა გააკეთა? მაშინ ისე მოვიქცეთ, როგორც მუსლიმანები იქცევიან და საერთოდაც რა, ისე რომ მოვიქცეთ, როგორც ქართველ ხალს სურს, არა?

რა შუაშია რუსეთი... რუსეთს რაც სურდა და რაც მოგვთხოვა, ყველაფერი წაიღო ისე, ნებართვა არც უკითხავს... ახლაც, რომ ასე წუხდეს, ჩვენი ბიჭების ქორწინებაზე, როგორმე მოახერხებდა ტორის დარტყმას...

მაგრამ ქართველი ხალხის ნების უგულებელყოფას სხვა სახელი ვერ მოუფიქრა მფრინავმა კომბოსტომ...

ისე კაცმა რომ თქვას, რა ბედი გვაქვს – ერთი გვყავდა და ქინძი ვარო იძახდა, ეს კი მფრინავ კომბოსტობას იჩემებს...

**თამუნა კეშელავა**
555 46 08 04

## გიორგი გაჩეჩილაძე:

# გლობალური დათბობის პროცესებიდან გამომდინარე, სტიქიური მოვლენების გააქტიურება გარდაუვალია!

**ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველოში ჰაერის ტემპერატურა 0,3 გრადუსით გაიზარდა. აღმოსავლეთ საქართველოსა და ბორჯომის ხეობაში კი 0,6 გრადუსით, რაც საშუალო წლიური ტემპერატურისთვის ძალიან სერიოზული ციფრია.**



26 მაისი – ძლიერმა სეტყვამ შიდა ქართლის სოფლებში მოსავალი გაანადგურა. ნახევარსაათიანი სეტყვის შედეგად მთლიანად განადგურებულია ყურძნის, ატმის და ვაშლის მოსავალი. 28 მაისი – ადიგენის რაიონის სოფლებს სეტყვამ გადაუარა. განადგურებულია ხეხილი, ვენახები და ბოსტნეულის ნათესები. 1 ივლისი – თელავს სტიქიამ გადაუარა .ძლიერმა ქარმა საცხოვრებელ სახლებს სახურავები გადახადა და დაწყვიტა ელექტროგადამცემი ხაზები. ქარმა წააქცია მრავალწლოვანი ხეები, დაზიანებულია ავტომანქანები. 9 ივლისი – ძლიერი წვიმის შედეგად, ადიდებულმა მდინარეებმა მარტვილის მუნიციპალიტეტის 15-მდე სოფელი დატბორა. 180-მდე ოჯახი გარე სამყაროსაა მოწყვეტილი. 10 ივლისი – სამდღიანი გადაუღებელი წვიმების შედეგად, ვანისულორის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სავალი ნაწილი ჩაინგრა. 10-12 ივლისი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მეწყერი ჩამოწვა. დაზიანებულია გზის საფარი, დანგრეულია ხიდები. 3 აგვისტო – ახალციხეში მოსულმა ძლიერმა სეტყვამ საცხოვრებელი სახლები, სახურავები, ავტომანქანები და მოსავალი დააზიანა. ძლიერმა ქარმა ასწლოვანი ხეები მოგლიჯა. 4 -5 აგვისტო – ძლიერი წვიმა და სეტყვა ბორჯომში, წაღვერში, ცემსა და სოფელ ტბაში. ძლიერი წვიმისა და სეტყვის შემდეგ, ბორჯომის ცენტრალური პარკის დიდი ნაწილი განადგურებულია. დატბორილია შენობა ნაგებობები, დამტვრეულია ხეები და მოშლილია ინფრასტრუქტურა. შეწყვეტილია ელექტროენერგიის მიწოდება. ტურისტული ზონებიდან განხორციელდა ხალხის ევაკუაცია. 5 აგვისტო – გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელ კნოლევში ძლიერმა ქარმა ხეები გადატეხა. ეს ბოლო სამი თვის მანძილზე საქართველოს ტერიტორიაზე დატრიალებული სტიქიური უბედურებების მცირე ნაწილია. გაზაფხულიდან მოყოლებული, ქვეყნის მთავრობაში სტიქიური უბედურებების შედეგად მიყენებულ ზარალს ითვლიან და ვითარებიდან გამოსავლის გზებს ეძებენ. „მწვანეთა პარტიის“ ლიდერი დარწმუნებულია, რომ საქართველოში ბუნებრივი კატაკლიზმების გახშირების მთავარი მიზეზი გლობალური დათბობა და ხე-ტყის მასიურად ჩეხვაა. ბორჯომის ხეობაში ასეთი ინტენსიური ნალექები, სეტყვა და ქარიშხალი დიდი ხანია არ დაფიქსირებულა. არც სტატისტიკურად დასტურდება, რომ ოდესმე ამგვარი მოვლენები ასეთი სიხშირით ყოფილიყო-აცხადებს გიორგი გაჩეჩილაძე.



ბოლო დროს, საქართველოში უცნაური პროცესები ვითარდება, ვინაიდან ბორჯომის ხეობაში ასეთი ინტენსიური ნალექები, სეტყვა და ქარიშხალი დიდი ხანია არ დაფიქსირებულა. არც სტატისტიკურად დასტურდება, რომ ოდესმე ამგვარი მოვლენები ასეთი სიხშირით ყოფილიყო. სტიქიური უბედურებების გახშირება და კონკრეტულად, ბორჯომის ამბები ძირითადად ორ ფაქტორთან არის დაკავშირებული: ერთია გლობალური დათბობის პროცესი, რომელიც მარტო საქართველოს კი არა, ძალიან ბევრ განვითარებულ ქვეყანასაც პრობლემებს უქმნის და მეორე -ბორჯომის ხეობაში, და მთლიანად საქართველოში წლების განმავლობაში მიმდინარე ტყეების ჩეხვა, რომელიც აგვისტოს ომის დროს, ტყეების გადაწვამ „დააგვირგვინა“. აღსანიშნავია, რომ გლობალური დათბობის პერიოდში, დედამიწაზე კლიმატი იცვლება. აფრიკის უდაბნოში, სადაც წვიმაც კი უიშვიათესად მოდის, უკვე თოვლის მოსვლა დაფიქსირდა. არსებობს ოფიციალური მონაცემები, თუ როგორ აისახება გლობალური დათბობის პროცესები საქართველოზე და ამას ქვია ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიმართ. ეს ჩარჩო კონვენცია 1996 წელს მწვანეთა პარტიის ინიციატივით იქნა რატიფიცირებული. ეროვნული შეტყობინება აკვირდება, როგორ იცვლება საქართველოში კლიმატი. სამწუხაროდ, ბოლო 15 წლის განმავლობაში ძალიან ცუდი მონაცემები გვაქვს. კერძოდ: დასავლეთ საქართველოში ჰაერის ტემპერატურა საშუალოდ, 0,3 გრადუსით გაიზარდა. აღმოსავლეთ საქართველოსა და ბორჯომის ხეობაში კი 0,6 გრადუსით, რაც საშუალო წლიური ტემპერატურისთვის ძალიან სერიოზული ციფრია. თავისთავად ცხადია, რომ ტემპერატურის ასეთი მატება მთელ რიგ კლიმატურ ცვლილებებს გამოიწვევს. წყლის აორთქლება ნალექების ინტენსივობას ზრდის, სეტყვის წარმოშობის უფრო მეტ ალბათობას შექმნის და ა.შ. ეროვნული შეტყობინების მიხედვით, დასავლეთ საქართველოში ნალექების რაოდენობა 8%-ით, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში დაახლოებით 6%-ით არის გაზრდილი. ბოლო 15 წლის მანძილზე გაზრდილია გვალვების საშუალო ხანგრძლივობაც. ადრე თუ დიდი გვალვები15-20 წელიწადში ერთხელ იყო, ახლა 6-7 წელიწადში ერთხელაა. ადრე გვალვა თუ დაახლოებით, 40-45 დღე გრძელდებოდა, ახლა ეს დრო ორ თვემდე გაიზარდა. გარდა იმისა, რომ ინტენსიური გვალვები პირდაპირ უტყამს ქვეყნის ეკონომიკას, საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონებსაც სერიოზულ პრობლემებს უქმნის. ამასთან, აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეების უმეტესობა მყინვარებიდან ირებს სათავეს. გლობალური დათბობის გამო კი კავკასიონის ქედებზე მყინვარების ფართობები ძალიან შემცირებულია.

მეცნიერების დაკვირვებით, ატმოსფერული ტემპერატურის ზრდა მე-20 საუკუნის დასაწყისიდან შეინიშნება. ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი სითბური აირების ზემოქმედებით, დედამიწის ზედაპირი ყოველ 40 წელიწადში 1 გრადუსით თბება. აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, 2016 წელი ყველაზე ცხელ წლად არის მიჩნეული. 2014 წლის მარტში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ანგარიშში წერია: „ზუსტად არავინ იცის რა მოხდება, თუ დათბობა გაგრძელდა, მაგრამ ის კი ვიცით, რომ დედამიწაზე ამინდი ნამდვილად შეიცვლება. ხმელეთიდან მეტი წყალი აორთქლდება, რაც მიწის გამოშრობას გამოიწვევს. ოკეანეებთანაც იგივე პრობლემა იქნება. ამას კი მეტი წვიმა და შესაბამისად სანაპირო რეგიონების დატბორვა მოჰყვება. კლიმატის ცვლილების შედეგად მოხდება ცხოველებისა და მცენარეების ნაწილის მიგრაცია ახალ ადგილებზე, ნაწილი კი გადაშენდება. გლობალური დათბობის შედეგები შეიძლება კატასტროფული იყოს. თუმცა არსებობს გლობალური დათბობის შენელების ბევრი ხერხიც, რაზეც მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მსჯელობს.“

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გლობალურ დათბობასა და სტიქიური უბედურებების გახშირებას უკავშირდება, ქვეყნის მწვანე საფარის შენარჩუნებაა, რადგან ხეები ფოტოსინთეზის საშუალებით $CO_2$-ს ჟანგბადად გარდაქმნიან. შესაბამისად, რაც უფრო იკლებს დედამიწაზე ტყის ფართობი, მით უფრო რთულდება სიტუაცია. გიორგი გაჩეჩილაძის თქმით, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ხე-ტყის ჩეხვამ მასიური ხასიათი მიიღო. ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს კი საქართველოს მწვანე საფარიდან დაახლოებით 9000 ჰექტარი ტყე გაქრა. ისედაც უმძიმეს ვითარებას 2008 წელს რუსების მიერ ბორჯომის ხეობის დაბომბვა და ტყეების გადაწვაც დაემატა და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ – ამბობს „მწვანეთა პარტიის“ ლიდერი.

მეორე და უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც სტიქიური მოვლენების გახშირებას უკავშირდება, ტყის საფარის მდგომარეობაა. ტყე არა მარტო წყალდიდობებისაგან, ეროზიული პროცესებისა და ღვარცოფებისგან, არამედ ქარიშხლებისგანაც გვიცავს. ქარიშხალი ქვია 30 მ.წმ-ზე მეტი სიჩქარისა და დიდი ენერგიის მქონე ჰაერის ნაკადს, რომელიც



მრავალწლიან ხეებსაც კი გლიჯავს. დიდი ახსნა არ ჭირდება, რომ რაც მეტია ტყის საფარი, მით ნაკლებია ქარის სიჩქარე. ის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ბოლო წლების განმავლობაში, ქარების სიხშირე ხუთჯერ გაიზარდა, ბევრ რამეზე მეტყველებს. ყველას გვახსოვს, 90-იანი წლების ენერგეტიკულ კრიზისს როგორი ინტენსიური ტყის ჩეხვა მოჰყვა. ჩვენ მაშინ პარლამენტში ვყავით და მოვახერხეთ, რომ საქართველოდან მორებს გატანა შეგვეზღუდა, თუმცა ყველა და გასაკუთრებით, ადგილობრივი ხელისუფლებები ცდილობდნენ, აქედან ფული ეშოვნათ. ნაციონალური მოძრაობის დამოკიდებულება გარემოს მიმართ ხომ საერთოდ, ბარბაროსული იყო. დედამიწის ზურგზე არ არსებობს ხელისუფლება, რომელსაც ასეთი დამოკიდებულება ჰქონოდა საკუთარი ქვეყნის ბუნების მიმართ. ამერიკული კოსმოსური თანამგზავრებიდან გადაღებული დისტანციური ფოტოები ადასტურებს, როგორ მცირდებოდა ნაციონალური მოძრაობის დროს ტყის ფართობები. 2003-2012 წლებში ტყვის მასივებიდან დაახლოებით 9000 ჰექტარი ტყეა გამქრალი, რაც დაახლოებით 5-5 მილიონი ძირი ხეა. ჩვენს ბუნებას გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა 2008 წლის ომმაც. რუსული ბომბების წყალობით, ბორჯომის უნიკალურ ხეობაში და ატენისა და გორის მიმდებარე ტეროტორიებზე 1100 ჰექტარი ტყის მასივი დაიწვა. ბუნებრივია, ამან შეუწყო სტიქიური მოვლენების გააქტიურებას და ეს განსაკუთრებით, ქარიშხლებს ეხება. მე დიდი ხანია ვითხოვ, რომ საქართველოს პარლამენტმა გაუკეთოს რატიფიცირება გაეროს 1977 წლის კონვეციას. კონვენცია, რომელზეც სხვათა შორის, რუსეთიც არის მიერთებული, სამხედრო მოქმედებების დროსაც კი კრძალავს გარემოს მიზანმიმართულ განადგურებას. კონვენციაზე მიერთება საშუალებას მოგვცემს, რომ ტყეების გაჩანაგების გამო, რუსეთს კომპენსაცია მოვთხოვოთ. შესაძლოა, რვა წლის შემდეგ ასეთი მოთხოვნა დაგვიანებულიც იყოს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მუდმივი კონფლიქტების რეგიონში ვცხოვრობთ, თავდაცვის მიზნით, ასეთ კონვენციასთან შეერთება ჩვენთვის მაინც აუცილებელია. რა თქმა უნდა, თუ ახალ პარლამენტში მოვხვდი, ხელმეორედ დავაყენებ ამ საკითხს, თუ არა და ვინც მოხვდება, იმან უნდა დააყენოს. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოსთვის გარემოს დაცვის პრობლემები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ეკოლოგიური და გარემოს დაცვითი ვალდებულებებს უკავია.

2015 წლის პარიზის კლიმატის სამიტზე 196 ქვეყნის წარმომადგენელმა აღიარა პრობლემები, რომლის წინაშეც დედამიწა დგას და მოიწონა ახალი კლიმატური ჩარჩო-შეთანხმება, რომელიც კლიმატის ცვლილების აღსაკვეთ ზომებს განსაზღვრავს. სამიტზე შეთანხმდნენ, რომ არ დაუშვან ჰაერის საერთო ტემპერატურის 2 გრადუსზე მეტით გათბობა, როგორც ეს ინდუსტრიალიზაციამდელ პერიოდში იყო. „მწვანეთა პარტიის" ლიდერი აღნიშნავს, რომ თუ მსოფლიომ გლობალური დათბობის პროცესების შეჩერება ვერ შეძლო, კატასტროფა გარდაუვალია. პროცესის შესაჩერებლად საჭიროა ატმოსფეროში შემცირდეს ე.წ სათბური გაზის $CO_2$-ის კონცენტრაცია და ისეთი ორგანული საწვავის, როგორიცაა ნახშირი და ქვანახშირი, წილის შემცირება მრეწველობასა და ენრეგეტიკაში. პრობლემები იმდენად სერიოზულია, რომ კაცობრიობის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას. იმედია, პროცესების შესაჩერებლად,ინტენსიური მუშაობა დაიწყება და რაცუფრო ადრე, მით უკეთესია – განაცხადა გიორგი გაჩეჩილაძემ.

კლიმატის სამიტი ძალიან კარგი მოვლენა იყო იმ თვალსაზრისით, რომ მსოფლიოს უდიდესმა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომელმაც გარკვეულ დონეზე უნდა შეაჩეროს გლობალური დათბობა და მისგან გამოწვეული კლიმატური ცვლილებები. პარალელურად შეიქმნა გაეროს ე.წ. მწვანე ფონდი, რომელშიც იქნება აკუმულირებული მილიარდობით დოლარი ჩვენისთანა ქვეყნებს დასახმარებლად, რომლებსაც საკუთარი სახსრებით ამ პრობლემის მოგვარება არ შეუძლიათ. მსოფლიო ლიდერებს მშვენივრად ესმით, რომ თუ გლობალური დათბობის პროცესების შეჩერება ვერ შეძლეს, კატასტროფა გარდაუვალია. ამ პროცესის შესაჩერებლად, საჭიროა ატმოსფეროში შემცირდეს ე.წ სათბური გაზის $CO_2$-ის კონცენტრაცია და ისეთი ორგანული საწვავის, როგორიცაა ნახშირი, ქვანახშირი, წილის შემცირება მრეწველობასა და ენრეგეტიკაში. მეორე და ყველაზე მნიშვნელოვანი: უნდა გაკეთდეს ე.წ. ადაპტაციის პროგრამები. ანუ მთლად ვერ შეაჩერებ, მაგრამ უნდა დაჯდე და დათვალო, რომელ რეგიონში რა პროცესები განვითარდა და ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა კლიმატის ცვლილებებს მოარგო.

„მწვანეთა პარტიის" ლიდერის თქმით, საქართველოს 70% სტიქიის ზონაშია. რისკის ზონაშია მოქცეული 3000-მდე დასახლება, სადაც 400 000 ოჯახი ცხოვრობს. ეს არის მეწყერსაშიში, ღვარცოფსაშიში და წყალდიდობასაშიში ტერიტორიები, ამიტომ გლობალური დათბობის პროცესებიდან გამომდინარე, სტიქიური მოვლენების გააქტიურებას უნდა ველოდოთ და პრევენციაზე მუშაობა გავააქტიუროთ – აღნიშნავს გიორგი გაჩეჩილაძე.

ჩვენს მიერ გარემოს დაცვის თვალსაზრსით, მოსახლეობისთვის მიცემული დაპირებების უდიდესი ნაწილი შესრულებულია, თუმცა სამუშაო ჯერ ისევ ბევრია. 1995-99 წლების პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტი მთლიანად „მწვანეთა პარტიის" წევრებით იყო და ჩვენ შევქმენით ევროკავშირის მოთხოვნებთან ჰარმონიზირებული, უმკაცრესი კანონმდებლობა. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ნაციონალურმა მოძრაობამ ეს კანონმდებლობა „დაჩეხა", გაანადგურა და თავის ეკონომიკურ ინტერესებს მოარგო. ფაქტობრივად, ბუნებრივი რესურსები მთლიანად ენერგეტიკის სამინისტროში გადაიტანა და გარემოს დაცვის სამინისტრო ფუნქციების გარეშე დატოვა. სწორედ მაშინ მიადგა ყველაზე დიდი ზიანი დასავლეთ საქართველოს ტყეებს და გაიჩეხა ძვირადღირებული, „წითელ წიგნში" შეტანილი მუხისა და წაბლის ხეები. 2012 წელს ნაციონალებმა გარემოს დაცვის კანონში შეიტანეს ერთი თავი – „შეთანხმება გარემოს დაცვის სფეროში", რომელიც მთლიანად აჩვენებს მათ დამოკიდებულებას გარემოს მიმართ. ეს იყო ინდულგენცია ბუნების მკვლელობაზე ანუ თუ ფულს გადაიხდიდი, ტყის გაჩეხვის, მდინარეების მოწამვლის, წითელ წიგნში შეყვანილი ცხოველების დახოცვის და ყველაფრის უფლება გქონდა. 2012 წელს, როცა საკანონმდებლო ცვლილება საკონსტიტუციო სასამართლოში გავასაჩივრე, მოსამართლეები ვერ იჯერებდნენ, რომ კანონში ასეთი ბარბაროსული ჩანაწერი არსებობდა. რაც შეეხება ჩვენს დაპირებებს, ჩვენი მთავარი დაპირება იყო, რომ აღვადგენდით ძველ კანონმდებლობას და გარემოს დაცვის სამინისტროს თავის ფუნქციებს დავუბრუნებდით, რაც მთლიანად შესრულებულია, მაგრამ დარჩენილია ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ძალიან სერიოზული საკითხები. აღსადგენია უმნიშვნელოვანესი კანონი გარემოზე ზეოქმედების შეფასებისა და გარემოს დაცვითი ნებართვების შესახებ. ეს არის ძირითადი კანონი გარემოს დაცვაში, რომლის გარეშე ,არც ერთი სახელმწიფო არ არსებობს და რაც უფრო მკაცრია კანონი, მით უკეთესი მდგომარეობაა ქვეყანაში. ამ კანონის თანახმად, ვერც ერთი მსხვილი მშენებლობა ვერ დაიწყება, თუ წინასწარ არ იქნება გარემოს დაცვითი ექსპერტიზის პასუხები. მერწმუნეთ, ეს კანონი რომ ყოფილიყო და მდინარე ვერეს ხეობაში სატრანსპორტო კვანძის პროექტი გარემოს დაცვის ექსპერტიზას შეეფასებინა, ტრაგედია არ მოხდებოდა. კანონი ფაქტიურად აღდგენილია, მომზადებულია და იმედია, მომავალ პარლამენტში მისი მიღება მოხდება. საუბრის ბოლოს გეტყვით, რომ საქართველო სტიქიური უბედურებების თვალსაზრსით ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლად რეგიონში მდებარეობს. ჩვენი ტერიტორიის 70% სტიქიის არეალშია. რისკის ზონაშია მოქცეული 3000-მდე დასახლება, სადაც 400 000 ოჯახი ცხოვრობს. ეს არის მეწყერსაშიში, ღვარცოფსაშიში და წყალდიდობასაშიში ტერიტორიები. ამიტომ ჩვენი მთავარი ამოცანაა შევინარჩუნოთ ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც ჩვენს უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. პირველ რიგში, ეს არის ტყეების შენარჩუნება, განაშენიანება და არა ჩეხვა, მეორე- უნდა შევაციროთ ატმოსფეროში მხუთავი აირების გამოყოფა, უნდა მოვახერხოთ და შევამციროთ ორგანული საწვავის გამოყენება და გადავიდეთ ალტერნატიულ, ეკოლოგიურად სუფთა ენერგეტიკაზე. უნდა ავამუშაოთ ადაპტაციის პროგრამები. დეტალურად უნდა შევისწავლოთ ყველა რეგიონი, სადაც ასეთი საშიშროება არსებობს და დავგეგმოთ როგორ ავიცილოთ საფრთხეები თავიდან. სხვანაირად, გლობალური დათბობის პროცესებიდან გამომდინარე, სტიქიური მოვლენების გააქტიურება გარდაუვალია!





წყალდიდობა თბილისში 1895 წ.



წყალდიდობა თბილისში 2015 წ.

ნელი თორდია
571 35 36 88

## გიორგი კვირიკაშვილი:

# „ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება სწრაფად დავაღწიოთ თავი გაჭირვებას, რომ თითოეული ოჯახი წელგამართული იყოს

ამბროლაურის, ონის, ცაგერის, ლენტეხისა და მესტიის გაერთიანებული საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გოჩა ენუქიძეა- „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე გიორგი კვირიკაშვილმა ადგილობრივ მოსახლეობას მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი წარუდგინა. „ბატონი გოჩა გახლავთ ორი მოწვევის პარლამენტის წევრი. ძალიან გამოცდილი, საქმის ერთგული კაცია. დარწმუნებული ვარ, გაერთიანებული ოლქის წარმომადგენლობა



ბატონი გოჩას პასუხისმგებლობას კიდევ უფრო გაზრდის და ერთი წუთით არ მოაკლებს ყურადღებას თქვენი ინტრესების დაცვას“, – განაცხადა სიტყვით გამოსვლისას პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, მთავრობას განზრახული აქვს, რომ სხვა რაიონების მოსახლეობის ინტერესები მაქსიმალურად შეძლებისდაგვარად იყოს დაკმაყოფილებული პროპორციული სიის შემადგენლობაში, ვინაიდან საქართველოს რეგიონები არ შეიძლება, ასე დაჯამდეს მათემატიკურად.

„ამიტომ ვფიქრობთ, რომ სვანეთს, ლენტეხს, ცაგერს, შესაძლოა, ჰყავდეს პროპორციულ სიაში საკუთარი წარმომადგენლები. მიგვაჩნია, რომ რეგიონები მაქსიმულურად ძლიერად უნდა იყვნენ წარმოდგენილი საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას მოსახლეობას რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა; წელს, წლის ბოლომდე, აუცილებლად დასრულდება ამბროლაურის აეროდრომის მშენებლობა.

„ეს იქნება ამ რეგიონის ტურიზმის განვითარებისთვის ძალიან მძლავრი ბიძგი. დაწყებულია უკვე პროექტირება. შევეცდებით, ისე დაპროექტდეს ეს აეროდრომი, რომ მიიღოს არა მხოლოდ პატარა ზომის, არამედ საშუალო ზომის, 50 მგზავრიანი თვითმფრინავები. ყოველ შემბის, სასტუმრო კომპლექსების განვითარება გაგრძელდება.




გიორგი კვირიკაშვილმა ყურადღება გაამახვილა საჩხერის გავლით გომიდან რაჭამდე მიმავალი პირდაპირი გზის მშენებლობაზე.

„ამის პირობას ვდებთ, რომ წელს, წლის ბოლომდე, დასრულდება პროექტირება და მომავალ წელს დაიწყება სამუშაოები. რა თქმა უნდა, ასევე აუცილებლად უნდა გაკეთდეს ქუთაისიდან სვანეთისკენ მიმავალი გზა. სერიოზულად ვიხილავთ მამისონის უღელტეხილზე გადამავალი გზის მშენებლობას იმისათვის, რომ ამ რეგიონმა მაქსიმალური შვება ნახოს დამატებული ტურისტული ნაკადებით. ყველაფერს ამას მეგობრებო, აუცილებლად განვახორციელებთ. პირობას ვდებთ, რომ თითოეული სიტყვა აქ ნათქვამი, აუცილებლად შესრულდება, მაგრამ ამისთვის ჩვენ გვჭირდება ერთად დგომა, ჩვენ გვჭირდება ის, რომ გადავლახოთ გათითოკაცების გამოწვევა ჩვენი ქვეყნისთვის, დავდგეთ ერთად იმისათვის, რომ ამ მშვენიერმა ბავშვებმა მართლაც ისუნთქონ უკეთესი ჰაერი, ნახონ უკეთესი გაფერადებული და აგუგუნებული საქართველო“, – აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრის შეფასებით, რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის უნიკალური ისტორიულ-კულტურული ძეგლები, სამთო-სათხილამურო კურორტები, დასასვენებელი ადგილები ტურიზმის განვითარების უდიდესი შესაძლებლობაა, რომელთა მთლიანად ათვისება თვისებრივად შეცვლის ადგილობრივი მოსახლების ცხოვრების დონეს.

„მაგალითისთვის მოვიყვან შაორის ტბას, რომელიც თავისი არაჩვეულებრივი მდებარეობითა და შესანიშნავი ხედებით უამრავ ტურისტს იზიდავს. ჩვენ ყველანაირად ვუწყობთ ხელს ამ ტურისტული ზონის განვითარებას. დღეს სახელმწიფოს ხელშეწყობით, პროგრამის „უმასპინძლე საქართველოში“ ფარგლებში, შენდება ახალი, ძალიან ლამაზი, თანამედროვე ტიპის სასტუმრო. ეს იქნება პირველი ასეთი ტურისტული ინფრასტრუქტურა; და, დარწმუნებული ვარ, მას კიდევ ბევრი სხვა შეემატება, ჩამოვა მეტი სტუმარი, დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა და გაჩნდება შემოსავლის დამატებითი წყარო. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ რაჭა გამოცოცხლდეს და შეჩერდეს სოფლების დაცლის პროცესი“, – განაცხადა მთავრობის მეთაურმა. პრემიერ-მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იმ ადამიანებზე საუბარს, რომლებიც არასოდეს ტოვებენ საკუთარ სახლ-კარს და ინახავენ მთას.

გიორგი კვირიკაშვილმა ხაზი გაუსვა მთის კანონს და აღნიშნა, რომ უკვე პირველი სექტემბრიდან დანამატებით ისარგებლებენ პენსიონერები, მასწავლებლები, ექიმები, ექთნები; საგადასახადო შეღავათებით ისარგებლებენ მეწარმეები; სპეციალური სოციალური პაკეტით უკვე სარგებლობენ ახალგაზრდა ოჯახები, მრავალშვილიანი ოჯახები.

პრემიერ-მინისტრმა მთავრობის მიერ ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროების განვითარების მიზნით ხელისუფლების უპრეცედენტოდ მაღალ ყურადღებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ შეძლო სასოწარკვეთილი ადამიანებისთვის



თხევაში, წინასწარი დასკვნები ასეთ ტექნიკურ შესაძლებლობას იძლევა. ეს იქნება ძალიან დიდი სტიმული ადგილობრივი მცირე მეწარმეებისთვის, ადგილობრივი ოჯახური სასტუმროებისთვის და ასევე ინვესტორებისთვის, რომ რაჭასა და მიმდებარე რეგიონებში დამატებითი ინვესტიციები იყოს მოზიდული. ჩვენ ასევე აუცილებლად დავასრულებთ გენერალურ დაგეგმარებას შაორის ტბის მიმდებარედ ტურისტული კომპლექსის განვითარების ისე, რომ ეს ზონა, მაქსიმალურად, ჩაეწეროს ჩვენი ქვეყნის სპეციფიკაში, ჩვენი ქვეყნის მემკვიდრეობა იყოს მაქსიმალურად დაცული და ისე, რომ ადგილობრივი ლანდშაფტის ელფერი არ შეიცვლოს“, – აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

მთავრობის მეთაურმა პირობა დადო, რომ სვანეთში დაწყებული პროექტები, მათ შორის მესტიაში ჰაწვალისა და თეთნულდის სათხილამურო ტრასე-



სიცოცხლის იმედი დაებრუნებინა.

„ჩვენ შევძელით და დავძლიეთ ის პრობლემა, რაც ბევრ ჩვენზე ეკონომიკურად ძლიერ ქვეყანას ჯერაც არა აქვს გადაჭრილი – ყველას მივეცით მკურნალობის საშუალება, ჩვენ გადავარჩინეთ უამრავი ადამიანის სიცოცხლე, სასოწარკვეთილ ადამიანებს დავუბრუნეთ სიცოცხლის იმედი. დიახ, ეს არის ის, რითაც ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ და თამამად შეგვიძლია შევხედოთ ხალხს თვალებში. ჩვენ დავეხმარეთ გლეხებს და ფერმერებს, არ დაგვიტოვებია თითქმის არც ერთი გოჯი მიწა დაუმუშავებელი, არ დარჩენილა სოფლად არავინ, ვინც რაღაც სახით მაინც არ მიიღო სარგებელი, იქნება ეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, სასუქი, სათესლე მასალა თუ მცენარეთა მოვლის საშუალებები“, – აღნიშნა მთავრობის მეთაურმა. გიორგი კვირიკაშვილმა ხაზი გაუსვა ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფოს მხრიდან მევენახეობის განსაკუთრებულ დაფასებას და აღნიშნა, რომ მთავრობა არც წელს დატოვებს არავის უყურადღებოდ. „ვერავინ ვერ გაიხსენებს ბოლო ათწლეულების განმავლობაში ისეთ ხელშეწყობასა და სახელმწიფოს მხრიდან მევენახეობის დაფასებას, როგორიც ჰქონდა რაჭა-ლეჩხუმს. რეგიონის მოსახლეობამ შემოსავლების სახით 22 მლნ ლარი მიიღო. ასეთმა დახმარებამ გლეხებს მისცა სტიმული, გაეშენებინათ ვენახი. დღეისათვის დარგულია ვაზის უძველესი და უნიკალური სახვანჭკარე ჯიშის ასეულობით ათასი ძირი. ჩვენ წელსაც დავეხმარებით მევენახეებს ყურძნის რეალიზაციაში“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილმა სიტყვით გამოსვლისას მოსახლეობას ინფორმაცია მიაწოდა იმის შესახებ, რომ მთავრობას ქვეყნის სწრაფი განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობისათვის კონკრეტული, ნაბიჯებით გაწერილი გეგმა შემუშავებული აქვს. „ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება სწრაფად დავაღწიოთ თავი გაჭირვებას, რომ თითოეული ოჯახი, თითოეული თქვენგანი წელგამართული იყოს და არ ჰქონდეს ხვალინდელი დღის შიში. სწორედ ამიტომ თქვენი მხარდაჭერით გაიმარჯვებს „ქართული ოცნება“ და ყველა დაწყებულ საქმეს აუცილებლად ბოლომდე მივიყვანთ. დიახ, დღეს სწორედ „ქართული ოცნებაა“ ის ძალა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ქვეყანაში იყოს სტაბილურობა, ჩვენი სამშობლო გაძლიერდეს და ყოველი თქვენგანის ოჯახში შემოვიდეს კეთილდღეობა! ჩვენ ამას ერთად აუცილებლად შევძლებთ! ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ! „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს და მით ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სამშობლო გაიმარჯვებს“, – განაცხადა პარტიის თავმჯდომარემ.

პრემიერ-მინისტრის გამოსვლამდე ამბროლაურში შეკრებილ მოსახლეობას სიტყვით „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ გენერალურმა მდივანმა, პარტიის ცენტრალური შტაბის უფროსმა კახა კალაძემ მიმართა. კახა კალაძემ რეგიონის დიდ ენერგეტიკულ, სამრეწველო-ეკონომიკურ, სასოფლო-სამეურნეო, კულტურულ და სამკურნალო ტურიზმის პოტენციალზე ისაუბრა. „ჩვენ ეს პოტენციალი უნდა გამოვიყენოთ და ბუნებისგან ბოძებული სიკეთეები, წინაპართა შრომით დღემდე მოტანილი სიმდიდრე, თითოეული თქვენგანის კეთილდღეობად ვაქციოთ! „ქართულმა ოცნებამ“ 2012-ში რეალური და არა ვირტუალური ქვეყნის შენება დაიწყო – ჩვენ ვიზრუნეთ თქვენს ჯანმრთელობაზე, თქვენი შვილების სწავლა-განათლებაზე, სკოლების, ბაღების რეაბილიტაციაზე, გზების შეკეთებაზე. ჩვენ მივიღეთ „მთის კანონი“, რომელიც, დარწმუნებული ვარ, მიგრაციის პროცესს მნიშვნელოვნად შეამცირებს და ამ უნიკალურ მხარეში ბევრ მშრომელ ადამიანს დააბრუნებს, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. დამერწმუნებით, წლობით გაფუჭებულ საქმეს ერთი ხელის მოსმით ვერ გამოასწორებ. ბუნებრივმა სტიქიებმა თუ ადამიანურმა სისასტიკემ და გულგრილობამ ამ მხარეს დიდი დარტყმა მიაყენა. ჩვენ სიტუაციის გამოსწორება ნაბიჯ-ნაბიჯ დავიწყეთ – უპირველესად ადამიანები გავათავისუფლეთ, მათ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საჭიროებებზე ვიზრუნეთ და ვზრუნავთ დღესაც“, – აღნიშნა ვიცე-პრემიერმა. ®



# ვანი სამეცნიერო ტურისტულ ცენტრად უნდა ჩამოყალიბდეს

ვანისა და ხონის გაერთიანებული ოლქის მაჟორიტარმა კანდიდატმა **გიორგი ლილუაშვილმა** წინა საარჩევნო შეხვედრები ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მთის ძირში, შუა მთაში, ჭყვიშსა და ციხე სულორში გამართა. გიორგი ლილუაშვილმა მოსახლეობას „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამა გააცნო და იმ პროექტებზე ისაუბრა, რომლის განხორციელებაც ვანის მუნიციპალიტეტში 2016-2017 წლებში იგეგმება. გიორგი ლილუაშვილის განცხადებით, ვანი სამეცნიერო ტურისტულ ცენტრად უნდა ჩამოყალიბდეს, რაც ხელს შეუწყობს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას და ადგილობრივების დასაქმებას. დღეს აქცენტი სოფლის მეურნეობის იმ სფეროს განვითარებაზეც გამახვილდა, რომელიც პერსპექტიულია და მოსახლეობას კარგშემოსავალს მისცემს.

„ვანში უნდა აღდგეს მეაბრეშუმეობა, რაც მოსახლეობისთვის ფინანსურად მომგებიანი იქნება. სახელმწიფომ უკვე შემოიტანა საუკეთესო ჰიბრიდული ჯიშის ხეები, რომელიც მრავალწლიანია და



გამორჩეული ხარისხის ფოთოლს იძლევა. უახლოეს მომავალში მთავრობის ინიციატივით დაიწყება პროექტი, რომელიც მეაბრეშუმეობას დააფინანსებს და ხელს შეუწყობს ქვეყანაში ამ დარგის განვითარებას“ – განაცხადა „ქართული ოცნების“ კანდიდატმა გიორგი ლილუაშვილმა.

კანდიდატი დღესვე სოფელ მთის ძირში სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე კიკაბიძეების ოჯახის პრობლემას ადგილზე გაეცნო, დაათვალიერა მათი საცხოვრებელი პირობები, რომელსაც მდინარე „ნასერალა“ ყოველი წვიმისას აზიანებს. გიორგი ლილუაშვილმა მოსახლეობის თხოვნით სოფელ შუა მთის კულტურის სახლიც დაათვალიერა, რომლის რეაბილიტაციასაც ადგილობრივები ითხოვენ. ®



# მათ სურთ მთელი დედამიწის მოსახლეობა „ნემსზე შესვან“



## მსოფლიო ნარკომაფია და სიონისტური ორგანიზაციები ნარკოტიკული საშუალებებით მიზანმიმართულად ანადგურებენ ქვეყნებს და ხალხებს

**ინტერვიუ პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ დავით გაგნიძესთან.**

ვასრულებთ ინტერვიუს პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ დავით გაგნიძესთან, რომლის განცხადებითაც, ავღანეთში მცხოვრები ტაჯიკები ახმად-შაჰ მასუდის მეთაურობით, საბჭოთა კავშირის სამხედრო გენერალიტეტისგან, რომელიც აქტიურად იყო ჩართული ნარკობიზნეში, ავღანური ნარკოტიკების მათ ტერიტორიაზე ტრანზიტისთვის „ბაჟს“ ითხოვდა.

დავით გაგნიძე: „მასუდი თავს იმით იმართლებდა, რომ რუსებს



კი არ ებრძოდა, არამედ თავის „წილს“ ითხოვდა. მას ძალიან სწყინდა, რომ უზბეკები მათზე მეტი გავლენით სარგებლობდნენ. შაჰ მასუდი ყელში ძვალივით ჰყავდა გაჩხერილი საბჭოთა ჯარის ნაწილებს, რადგან იგი არ ატარებდა ავღანეთის ცენტრალური ნაწილისკენ მიმავალ, საკვებითა და სამხედრო ამუნიციით დატვირთულ ქარავანს, რომელსაც უკანა გზაზე ნარკოტიკები მიჰქონდა. სხვათა შორის, მაშინ იმასაც ამბობდნენ, რომ ცნობილი საბჭოთა მომღერალი იოსიფ კობზონი იყო პარტიული და ჩრდილოვანი ელიტების დამაკავშირებელი რგოლი, რადგან ნარკოტიკის აშშ-ში შეტანა, სწორედ მისი და შოუბიზნესის სხვა მისნაირი წარმომადგენლების მეცადინეობით ხდებოდა.

ნარკობიზნესი მთლიანად რაშიდოვისა და „გრუს“ ხელში იყო და რა მნიშვნელობა ჰქონდა, ვის ამოეფარებოდნენ. საინტერესოა ამ მიზეზით ხომ არ აქვთ აკრძალული კობზონსა და მის მსგავსებს აშშ-ში შესვლა, თუ ასეა, გამოდის ეს ხალხი კავშირშია დანაშაულებრივ დაჯგუფება „ბრატსკი კრუგთან“ („საძმო წრე“), რომლის წევრებსაც ოფიციალურად აუკრძალეს აშშ-ში შესვლა და აქტივებიც გაუყინეს. როცა „გრუს“ იმ წლების „მოღვაწეობას“ ვიხსენებთ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამ უწყებას 1963 წლის მარტიდან 1987 წლის ივლისამდე ივაშუტინი ხელმძღვანელობდა, რითაც ამ პიროვნებამ თანამდებობაზე ყოფნის რეკორდი „მოხსნა“, მით უმეტეს, რომ 1918 წლიდან ივაშუტინის დანიშვნამდე, ამ უწყებამ 30 ხელმძღვანელი გამოიცვალა. აშკარად ჩანს, რომ ივაშუტინის 24-წლიანი მუშაობით „კმაყოფილები“ იყვნენ, მაგრამ რა იყო მიზეზი, როცა სწორედ მისი შეფობის დროს დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლა? გარდა ამისა, „გრუმ“ 1967 წელს ძლიერი დარტყმა მიიღო, რადგან დასავლეთის ქვეყნებში მისი აგენტები „ჩავარდნენ“. შემთხვევით, ეს ხალხი ნარკოტიკების გასაღების არხებს ხომ არ ეძებდა? 1977 წელს ანტვერპენში (ბელგია) უცნობმა პირებმა „გრუ“-ს აგენტი, ფედერაციული გერმანიის მოქალაქე მანფრედ რამინგერი მოკლეს, გამოძიებით დადგინდა, რომ მკვლელობა ნარკობიზნესს უკავშირდებოდა და ამ სფეროს წევრებმა ჩაიდინეს. 1982 წელს ხელისუფლება „კაგებეს“ მრისხანე შეფის, იური ანდროპოვის ხელში გადავიდა, მანამდე (65 წლის განმავლობაში), ხელისუფლების ზედა ეშელონებში მხოლოდ პარტიული მუშაკები იყვნენ, რომლებიც სამხედრო პირებსა და „ჩეკისტებს“ ქვეყნის „საჭეს“ ახლოს არ აკარებდნენ, ისინი პოლიტბიუროში ძალიან იშვიათად, მხოლოდ განსაკუთრებული „დამსახურების“ გამო შეყავდათ. ანდროპოვი კი, უცებ ჯერ ცეკას მდივანი გახდა, ხოლო ბრეჟნევის გარდაცვალების შემდეგ, სახელმწიფოს პირველი პირი. ბრეჟნევის მმართველობისას „ჩეკისტებმა“ თანდათან აღიდგინეს ძველი ძლიერება და მასშტაბები, რადგან იგი ინგლისის დედოფალივით, ხელს არავის არაფერში უშლიდა. სპეცსამსახურების ასე ვთქვათ, შეკავება მხოლოდ ერთადერთმა მმართველმა, იოსებ სტალინმა შეძლო, რადგან მან რეალურად დაიქვემდებარა ეს უწყებები და პერიოდულად ატარებდა კადრების ცვლილებას, ანუ „ანადგურებდა“ სპეცსამსახურების ხელმძღვანელობას. თუ ხელისუფალი ამას ვერ შეძლებს, მაშინ არაოფიციალურად უნდა ჩამოშორდეს მმართველობას და რეალური ხელისუფლება სპეცსამსახურებს გადასცეს. სწორედ ასეთი „მცოცავი“ რევოლუცია განხორციელდა ბრეჟნევის მმართველობის დროს, თან ისე, რომ თითქმის ვერავინ შეამჩნია.

\- ბატონო დავით, ძლიერი სპეცსამსახურები საქართველოსთვისაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თემაა. რას ეფუძნება მათი სიძლიერე?

\- არავის ეგონოს, რომ სპეცსამსახურების მთავარი მამოძრავებელი ძალა მხოლოდ განათლებული, ერუდირებული კონტიგენტი და „ოპონენტების“ ციხეში ჩაყრაა. მთავარი მათი ინფორმირებულობაა, ანუ ინფორმაციების შეგროვება, დამუშავება-ანალიზი და რაც ყველაზე მთავარია, საჭირო დროსა და ადგილზე გამოყენება. პორტუგალიის დიქტატორი რომ ჩამოაგდეს და დემოკრატია დამყარდა, ერთ-ერთი ჟურნალისტი საიდუმლო პოლიციის შტაბ-ბინით დაინტერესდა, ეგონა, რომ იქ მძლავრ მოსასმენ აპარატურას, კომპიუტერული ქსელსა და ა.შ. ნახავდა, მაგრამ მხოლოდ ძველი კარტოთეკა, თაროებზე შემოწყობილი საქაღალდეები დახვდა. სამაგიეროდ, იქ პორტუგალიის 15 წელზე მეტი ასაკის ყველა მოქალაქეზე იყო ინფორმაცია. ამ ჟურნალისტმა თავის დოსიეში რომ ჩაიხედა, გაოცდა, ოღონდ იმას კი არ გაუოცებია, რომ მასზე საკმაო ინფორმაციები ჰქონდათ, მასზე ისეთ ხალხს ჰქონდა ინფორმაციები მიწოდებული, რომლებსაც თავის მეგობრებად თვლიდა. არ იფიქროთ, რომ მხოლოდ კომპრომატები იკრიბება, ნებისმიერი ინფორმაციაა საჭირო, რომელიც კონკრეტულ პერსონას უკავშირდება, მისი სიმპათია-ანტიპათია, რა უყვარს, რისი ეშინია, რადგან ამით შეგიძლია ნებისმიერ ადამიანს მოარგო „გასაღები“. სწორედ ანდროპოვის დროს მოვიდა ქვეყნის მმართველობაში უმძლავრესი ორგანიზაცია, შეკრულ-შედუღაბებული ინტელექტუალური ჯგუფი, რომელიც საღად აფასებდა საბჭოთა კავშირში შექმნილ ვითარებას. ეს სულ სხვა, მანამდე ჩრდილში მდგარი ძალა იყო, თუ გავიხსენებთ მაშინდელი პარტიული ელიტის კორუმპირებულობასა და განცხრომით ცხოვრების სიყვარულს, ნათელი ხდება რატომაც გახდა ანდროპოვი სახელმწიფოს პირველი პირი. იგი ნარკობიზნესიდან შემოსული ფულის სასტიკი წინააღმდეგი იყო, მაგრამ იმასაც კარგად ხვდებოდა, რომ მთელი ქვეყანა ფაქტობრივად ავღანური ნარკოტიკებიდან შემოსულ ფულზე იყო „ჩამოკიდებული“. ამიტომ მასაც იგივე პოლიტიკა უნდა გაეტარებინა და უკეთეს დროს დალოდებოდა, რადგან „გრუსა“ და „კაგებეს“ შორის გამოუცხადებელი ომი მიმდინარეობდა და არა მხოლოდ ნარკობიზნესის გამო. დადგა შარაფ რაშიდოვის ჯერიც, რომელიც სამხედროების დაჯგუფებას ეკუთვნოდა. ანდროპოვმა ავღანეთის ხელისუფლებიდან გაუშვა დუსტუმი და კონფლიქტის მოგვარების მიზნით, მასუდთან დაიწყო მოლაპარაკებები, რომელსაც ავღანეთის თავდაცვის მინისტრის პოსტსა და „კუთვნილ წილს“ შეპირდნენ, მოლაპარაკებამ „წარმატებით“ ჩაიარა, რის შემდეგაც მასუდი თავის „წილს“ უპრობლემოდ იღებდა. ყველაფერი „კაგებეს“ ხელში გადავიდა, რის შემდეგაც დაიწყო საბჭოთა ჯარის წარმატებული მოქმედებები ავღანეთში, თუმცა ანდროპოვი მალევე გარდაიცვალა და ყველაფერი ძველებურად გაგრძელდა, ხოლო საბჭოთა ჯარი აქტიური მოქმედებიდან სამხრეთის ყაყაჩოს ნათესების დაცვაზე გადავიდა. დუსტუმი უკან დაბრუნდა, ხოლო მასუდის საჯარისო დანაყოფზე საბჭოთა ჯარმა რამდენიმე შეტევა განახორციელა. ამ „გადაგდებიდან“ გამომდინარე იყო, რომ არცერთი ავღანელი ლიდერი საბჭოელებთან მოლაპარაკების მაგიდასთან აღარ ჯდებოდა, ამ ყველაფერმა დაუდო საფუძველი საბჭოთა კავშირის კრახს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 70-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა კავშირის უმაღლეს პარტნომენკლატურას ეჭვი გაუჩნდა, რომ ავღანეთში წარმოებული ნარკოტიკული ნივთიერებები, სტავროპოლის მხარეში იყრიდა თავს, სადაც



პირველი პირი მიხეილ გორბაჩოვი ბრძანდებოდა. იმ პერიოდში, ავღანეთიდან წამოსული ნარკოტიკების მოძრაობებით დაინტერესებული იყო, როგორც საკავშირო შს სამინისტრო, ისე „კაგებეს“ მაღალჩინოსნებს, პროკურატურაში სს-ის საქმეც იყო აღძრული სტავროპოლში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, თუმცა რათომღაც ეს საქმე „ჩაიფარცხა“.

მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, ავღანეთში აშშ ფარულ ომს აწარმოებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ამერიკამ ავღანეთის დახმარება 20-30 მილიონი დოლარიდან დაიწყო, რაც 1987 წელს 630 მილიონს გაუტოლდა. სიმართლისთვის უნდა ითქვას, რომ რეალურად საბჭოთა კავშირი ავღანეთში ამერიკამ შეიტყუა, რადგან, როგორც მოგვიანებით ბჟეზინსკიმ განმარტა, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (ცსს) მზვერავები, ქაბულში ჯერ კიდევ 1979 წლის ივლისში შევიდნენ. ე.ი. ამერიკამ არამარტო საბჭოთა კავშირის განზრახვის შესახებ იცოდა, არამედ ისიც კარგად იცოდა, თუ როგორ უნდა ჩაეგდო ხელში ეს ოპიუმის „ოაზისი“, ამით ამერიკამ მსოფლიოს კარგად დაანახა საბჭოთა კავშირის სახე, რამაც საფუძველი



დაუდო „ბოროტების იმპერიის“ დანგრევას. აქვე არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამერიკამ ისარგებლა ამ ფაქტით და არათუ განაგრძო, არამედ უმაღლეს დონეზე აიყვანა ის სასტიკი ბოროტება, რასაც ნარკოტიკების წარმოება-გასაღება ჰქვია. მან საბჭოთა კავშირს ბევრად აჯობა ამ „ბიზნესში“ და სწორედ ამერიკამ „შესვა“ მთელი მსოფლიოს ფინანსური სისტემა „ჰეროინის“ ინექციაზე. ყოველივე ამის შემდეგ რა უნდა ვუწოდოთ „დემოკრატიის სავანედ“ წოდებულ ამერიკას, საზოგადოებამ განსაჯოს. 1992 წელს მოჯაჰედებმა აიღეს ქალაქი ქაბული, ავღანეთის პირველი პირი ნაჯიბულა გაეროს ოფისში დაიმალა, ხოლო ისლამური სახელმწიფოს პირველი პირი საბაგტულა მოჯადედი გახდა, რომელიც შემდგომ ბურხანუდინ რაბანიმ ჩაანაცვლა და დაიწყო სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის გაუთავებელი შეტაკებები, თუმცა მანამდეც არ აკლდათ. 1996 წელს ქაბული უკვე თალიბებმა აიღეს, ნაჯიბულა და მისი ძმა სიკვდილით დასაჯეს, თითქმის მთელი ავღანეთი გააერთიანეს და მსოფლიოში №1 ტერორისტად შერაცხულ ოსამა ბინ ლადენს თავშესაფარი უბოძეს. 2001 წლის 9 სექტემბერს, ავღანეთის ყიშლაყ ხოჯა-ბახაუდინში „ჩრდილოეთის ალიანსის“ სამხედრო ლიდერი აზმად-შაჰ მასუდი მოკლეს, ერთი ვერსიით, ეს ბინ ლადენის დავალებით მოხდა. მასუდზე თავდასხმა ორმა არაბმა, ჟურნალისტმა და ოპერატორმა განახორციელეს. იმავე წლის ოქტომბერში, ჯორჯ ბუში-უმცროსის ბრძანებით, რომელიც ჭკუათმყოფელობით დიდად არ გამოირჩეოდა, ამერიკული სამხედრო დანაყოფები ავღანეთში შეცვივდნენ, რასაც ანტიტერორისტული ოპერაცია“ დაარქვეს და ნატოს ჯარებთან ერთად სხვა ჭკუაზე მწყრალად მყოფნიც დიდი ზარ-ზეიმით მიიყოლეს. სამოქალაქო ომსა და ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებას ის შედეგი მოყვა, რომ ავღანელმა გლეხებმა ინტენსიურად დაიწყეს გაცილებით „რენტაბელური“ კულტურის წარმოება, ოპიუმის ყაყაჩოს ნარგავი ბამბაზე 40-ჯერ მეტად ფასობს. მიუხედავად ავღანეთში მიმდინარე გაუთავებელი ომებისა, ყაყაჩოს ნარგავების ოდენობა წლითიწლობით მატულობს, „იხვეწება“ ნედლეულის გადამუშავების მეთოდები და ტრანსპორტირების მარშრუტებიც. 90-იანი წლების მიწურულიდან, ნარკომაფიამ უკვე აშკარად დაიწყო სახელმწიფოებზე ზემოქმედება, მათ საშინაო საქმეებში ჩარევა, სპეცსამსახურებსა და სამართალდამცავ სტრუქტურებში მათთვის სასურველი პირების დანიშვნა და დირექტივების გაცემა. საქართველოს მაგალითზე გეტყვით, სადაც „ვარდოსნების“ ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, გაუქმდა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან მებრძოლი თანამშრომლების შტატები ძირეულ სტრუქტურებში და ერთიანი, ცენტრალიზებული სამსახური შეიქმნა. ამ სისტემის დიდი ხარვეზია ის გარემოება, რომ ნარკომაფიას უკვე ერთ პიროვნებასთან ჰქონდა საქმე, რაც საშუალებას იძლეოდა და იძლევა, რომ ერთ ადამიანთან, მით უმეტეს თავიანთ შერჩეულ კანდიდატთან ჰქონოდათ მოლაპარაკებები, რაც საქმეს უადვილებს. კი, ერთიანი გამსხვილებული სისტემა უნდა შექმნილიყო, მაგრამ ძირეული რგოლები არ უნდა გაეუქმებინათ, რაც უკანონო გარიგებების ალბათობას მნიშვნელოვნად ამცირებს.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# დოპინგი – დასჯის ერთ-ერთი მექანიზმი

წლევანდელი რიოს ოლიმპიური თამაშები, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ნაკლებად საინტერესო შეიძლება გამოდგეს ოლიმპიადების ისტორიაში. ამის მიზეზი კი სპორტის ზედმეტად პოლიტიზირება სახელდება. პოლიტიკამ უკვე ორჯერ აზარალა პლანეტის ერთ-ერთი უპირველესი ასპარეზობა 1980 და 1984 წლებში. აქვე სათქმელია, რომ მაშინ ორი სისტემა — სოციალისტური და კაპიტალისტური სამყარო დაუპირისპირდა ერთმანეთს.

ბოიკოტით მხოლოდ სპორტმა და ათლეტებმა იზარალეს, რომლებმაც იძულებით გამოტოვეს ასპარეზობა, არადა, ამისთვის წლების განმავლობაში ემზადებოდნენ. თუმცა პრობლემები, რისთვისაც ორმა სისტემამ ერთმანეთს ბოიკოტი გამოუცხადა, მოუგვარებელი დარჩა.

დღეს სიტუაცია ცოტა განსკვავებულია. ამჯერად აკრძალული პრეპარატების გამოყენების მიზეზით ცდილობდნენ რუსი სპორტსმენების დაბლოკვას. აქვე გვინდა ხმამაღლა განვაცხადოთ, რომ რუსეთის არც დამცველები ვართ და არც თაყვანისმცემლები, მაგრამ აუცილებელია სიმართლის თქმა. თავისთავად, სპორტსმენი, რომელიც დოპინგს იყენებს და მისი მეშვეობით ცდილობს მაღალი შედეგების მიღწევას, დასასჯელია. თუმცა რა დააშავეს მათ, ვინც პატიოსნად ასპარეზობს, ეს გახლავთ საკითხავი.

სამწუხაროა, ფაქტია, მაგრამ სპორტში, საუბედუროდ, ხშირია დოპინგის მოხმარება. მკაცრი კონტროლის მიუხედავად, ზოგიერთი ათლეტი მაინც ახერხებს აკრძალული პრეპარატების გამოყენებას. ამით, სპორტის გარდა, თავიანთ ჯანმრთელობასაც ანგრევენ, მაგრამ იმდენად დიდია გამარჯვების სურვილი, მომ,ავალზე ნაკლებად ფიქრობენ. მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიტანთ. სეულის ოლიმპიადაში გამარჯვებული, 80-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი მძლეოსანი ამერიკელი გრიფიტ ჯოინერი 45 წლის ასაკში გულის შეტევით გარდაიცვალა. საქმეში ჩახედული ხალხი კი მის გარდაცვალებას სწორედ დოპინგის გამოყენებას აბრალებდნენ. როგორც ირკვევა, სპორტში მოღვაწეობისას ჯოინერი ხშირად იყენებდა აკრძალულ პრეპარატებს.

ბრაზილიის წლევანდელ ოლიმპიურ თამაშებში, სავარაუდოდ, ბევრი რუსი ტიტულოვანი სპორტსმენი ვერ იასპარეზებს, რაც უდავოდ დაემჩნევა თამაშების სანახაობრივ მხარეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის ელენე ისიმბაევას არყოფნა ოლიმპიადაზე ჭოკით მხტომელთა ასპარეზობას მართლაც უინტერესოს გახდის. უცნაურია, მაგრამ რიოს თამაშებზე იქნებიან ის სპორტსმენები, რომლებიც გასულ წლებში შემჩნეულები იყვნენ დოპინგის მოხმარებაში.

როგორც უკვე ვთქვით, არავის, განსაკუთრებით რუსეთის ადვოკატობას არ ვაპირებთ, ამიტომ მიგვაჩნია, რომ პოლიტიკური საკითხები სპორტის მეშვეობით არ უნდა წყდებოდეს. ამისთვის პოლიტიკოსები არსებობენ და ისინი უნდა წყვეტდნენ საქვეყნო საქმეებს. თამაშების დაწყებამდე გამართულ ოლიმპიურ სესიაზე სპორტში დაგროვილ პრობლემებზე იმსჯელეს. იქვე მსოფლიოს დოპინგ-კონტროლის საერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენლებმა აღიარეს თავიანთი შეცდომები, რომლებზეც, როგორც ამბობენ, ფართოდ ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ ისაუბრებენ.



დოპინგ-სკანდალი გვერდზე გადავდოთ. შეიძლება ვინმეს უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ წლევანდელ თამაშებს თვით ბრაზილიაშიც გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები, რომლებიც აქტიურად აპროტესტებენ ოლიმპიადის ბრაზილიაში გამართვას. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტის მარშრუტის შეცვლა მოუხდათ ორგანიზატორებს, რათა პროტესტანტებისგან გართულებები თავიდან აეცილებინათ.

მსოფლიოში არასტაბილურმა ვითარებამ ამერიკის კონტინენტზეც შეაღწია. ორი კვირის წინ ბრაზილიის სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა რამდენიმე პირი დააკავეს, რომლებიც, სავარაუდოდ, ოლიმპიურ თამაშებზე ტერაქტებს გეგმავდნენ. თუმცა ბრაზილიის ხელისუფლებამ მიაჩუმათა სკანდალი, რათა ტურისტებში პანიკა არ გამოეწვიათ. საერთოდაც, ოლიმპიადის მასპინძლებს დიდი გარჯა მოუწევთ უისაფრთხოების დაცვის კუთხით.

ოლიმპიური თამაშების დროს ტერაქტი 1972 წელს, მიუნჰენის ოლიმპიაზადე მოხდა, რომელსაც ისრაელის რამდენიმე სპორტსმენი შეეწირა. თამაშები ჩაშლის პირას იყო, მაგრამ ორგანიზატორებმა ყველაფერი იღონეს თამაშების ბოლომდე ჩასატარებლად.

მიუხედავად ბრაზილიელ სამართალდამცველთა დიდი მცდელობებისა, ოლიმპიური თამაშების დაწყებისთანავე უკვე დაფიქსირდა რამდენიმე ინციდენტი. თავდაპირველად რუსეთის დელეგაციის ოფისი გაიძარცვა, საიდანაც სხვადასხვა კომპიუტერული ტექნიკა და აიფონები მოიპარეს. საინტერესოა ის გარემოება, რომ ოლიმპიური სოფლის აღნიშნულ ტერიტორიაზე უცხო პირებისთვის და თამაშევში მონაწილე სპორტსმენებისთვისაც შესვლა აკრძალულია. ეს ფაქტიც, ფაქტობრივად, მიაჩუმათა, როგორც ბრაზილიის, ასევე რუსეთის მხარემ.

გაცილებით სერიოზული დანაშაული რამდენიმე დღის წინ მოხდა. ავტობუსს, რომლითაც სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტები გადაადგილებოდნენ, უცნობმა პირებმა ცეცხლი გაუხსნეს. საბედნიეროდ, ინციდენტი მსხვერპლის გარეშე დასრულდა. მხოლოდ ერთი ადამიანი დაზარალდა მსუბუქად, რომელსაც ჩამტვრეულმა მინამ ხელი გაუჭრა.

რიოს წლევანდელ თამაშებზე ეკონომიკური დანაშაულიც დაფიქსირდა. ახლახან ერთ-ერთი კომპანიის თანამშრომლები დააკავეს, რომლებიც არალეგალურად, უნებართვოდ ყიდდნენ ბილეთებს ათჯერ (!) ძვირად. მათი კლიენტურა, ძირითადად, უცხოელი ტურისტები იყვნენ, რომლებმაც ვერ მოასწრეს, დროულად ბილეთების დაჯავშნა.

ოლიმპიური თამაშები დაიწყო და თითქმის სამ კვირას გაგრძელდება. შეიძლება ვინმემ გვისაყვედუროს, თამაშები ახლა დაიწყო და რატომ ფიქრობთ, საინტერესო ასპარეზობები არ იქნებაო. დიახ, სპორტი იმიტომ არის საინტერესო, რომ მოულოდნელობებით არის აღსავსე. თუმცა ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონების, რეკორდსმენების არყოფნა გარკვეულ ჩრდილს აყენებს თამაშებს. რაც შეეხება უსაფრთხოებას, იმედი ვიქონიოთ, რომ ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის, მიუხედავად მსოფლიოში გახშირებული ტერაქტებისა.

რიოს წლევანდელ ოლიმპიადაზე, ქართველი სპორტსმენებიც ასპარეზობენ. სპორტში პროგნოზები უმადური საქმეა, ამიტომ დაველოდით ოლიმპიური თამაშების დასრულებას და მონაგარი შემოდგომაზე დავითვალოთ. იმედია, ჩვენი სპორტსმენები არ გაგვაწბილებენ და უხვი ნადავლით დაბრუნდებიან სამშობლოში.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# ექსპერიმენტი კაცობრიობის წინააღმდეგ

## შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო

ერთ-ერთ ფრანგულ პროვინციაში რომლის მცხოვრებლები მრავალი წლის განმავლობაში იტანჯებოდნენ ჰალუცინაციებით, 50–წლიან საიდუმლოს აეხადა ფარდა. საიდუმლო გახსნა ერთმა ჟურნალისტმა, რომელმაც აღმოაჩინა, რომ პური, რომლითაც მოსახლეობას ამარაგებდნენ ჰალუცინოგენით (კონკრეტულად ლსდ-თი) ყოფილა დაბინძურებული.1951 წელს, საფრანგეთის სამხრეთის წყნარი და თვალწარმტაცი ქალაქი უეცრად მასობრივმა სიგიჟემ და ჰალუცინაციებმა მოიცვა. დაიღუპა ხუთი ადამიანი, ათეულობით კაცი განამწესეს სპეციალურ ჰოსპიტლებში, ასეულობით ადამიანს მიადგა საშინელი მორალური და მატერიალური ზარალი.




ადამიანებს საშინელი მხეცები და ცეცხლი ეჩვენებოდათ. ერთი მამაკაცი მდინარეში თავის დახრჩობას ცდილობდა, რადგან გაჰყვიროდა, რომ საშინელი გველები მოსდევდნენ შესაჭმელად. 11 წლის ბავშვმა კინაღამ დაახრჩო საკუთარი ბებია.

კიდევ ერთმა, სანამ ფანჯრიდან გადახტებოდა, დაიყვირა "მე ვარ თვითმფრინავი" და გადახტა, მოიმტვრია ფეხები, შემდეგ ადგა და 50 იარდი გაიარა. სხვა საკუთარ გულს "ხედავდა", რომელიც ფეხებიდან გამოდიოდა და ექიმს ევედრებოდა უკან, თავის ადგილას დაებრუნებინა იგი. მრავალ ადამიანს ჩააცვეს მაშინ გიჟის სამოსი და სპეციალურ დაწესებულებებში გაამწესეს.

იმ დროს ერთი ჟურნალი წერდა: "დაზარალებულები ბოდავენ. პაციენტები გაჰყვირიან, რომ მათ სხეულებზე წითელი ყვავილები ამოსდით, ხოლო თავები გავარვარებულ ტყვიასავით უხურთ"

ბოლოს და ბოლოს ოფიციალურ ვერსიად გააჟღერეს, რომ თითქოსდა ქალაქის ყველაზე ცნობილი მცხობელი პურის ფქვილს უნებლიედ ჰალუცინოგენური ობით აბინძურებდა. სხვა ვერსიით პურის ფქვილი ვერცხლისწყლის ორგანული ნაერთებით იყო მოწამლული.

მიუხედავად ამისა, დამოუკიდებელმა ჟურნალისტურმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ საფრანგეთის სამხრეთით ჩატარდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და ზესაიდუმლო ამერიკული ქვედანაყოფის, ქ. ფორტ დეტრიკის (მერილენდის შტატი. აშშ) "სპეციალური ოპერატიული დივიზიის" ექსპერიმენტი. მეცნიერები, ვინც ალტერნატიულ ახსნას იძლეოდნენ, მუშაობდნენ შვეიცარიულ ფარმაცევტულ კომპანია სანდოზში, რომელიც საიდუმლოდ ამარაგებდა ლსდ პრეპარატებით ცსს-საც და ამერიკის არმიასაც.

ბ-ნი ალბარელი (ჟურნალისტი) ცსს-ს საიდუმლო დოკუმენტს ფრენკ ოლსონის, სოდ-ში მომუშავე ბიოქიმიკოსის თვითმკვლელობის გამოძიებისას წააწყდა (ის გადმოვარდა მე-13 სართულიდან, "პურის ინციდენტიდან" ორი წლის შემდეგ). ცსს-ს აგენტსა და სანდოზ-ის ოფიციალური წარმომადგენლის ერთ ერთ საუბარში მოხსენიებულ იქნა "პონ-სენტ-ესპრის საიდუმლო", სადაც ითქვა, რომ ფრანგული ინციდენტი სულაც არ ყოფილა გამოწვეული ობით, არამედ ლიზერგინის დიეთილამიდის მჟავათი, ანუ ლსდ-თი.

ბ-ნი ალბარელიმ საშინელი ფაქტები გამოააშკარავა: ცსს-ს აგენტების მიერ ფრენკ ოლსონის მკვლელობა და ცივი ომის საშინელი ექსპერიმენტი, რომელიც ლსდ-ს უკავშირდება. ბატონი ალბარელი გაესაუბრა ოლსონის ყოფილ კოლეგებს, რომელთაგან ორმა განაცხადა, რომ პონ-სენტ-ესპრი-ს ინციდენტი ცნობიერების მართვისა და კონტროლის საიდუმლო ექსპერიმენტი გახლდათ.

კორეაში ომის დამთავრების შემდეგ ამერიკელები ფსიქიკური მანიპულაციების სფეროში, პატიმრებსა და მოწინააღმდეგის ტყვეებზე საიდუმლო გამოკვლევებს ატარებდნენ. ფორტ დეტრიკის მეცნიერებმა ალბარელის ამცნეს, რომ აგენტები ლსდ-ს აფრქვევდნენ ჰაერში, ასევე აბინძურებდნენ ადგილობრივ პროდუქტებს.

ბ-ნ ალბარელის თქმით, ნამდვილი სენსაცია გამოდგა თეთრი სახლის დოკუმენტი, რომელიც გაეგზავნა როკფელერის კომისიას 1975 წ. ცსს-ს ბოროტმოქმედებათა გამოსაძიებლად. მასში მითითებულია მთელი რიგი ფრანგი მოქალაქეების სახელები და გვარები, რომლებიც საიდუმლოდ მუშაობდნენ ცსს-ს აგენტებად და "სან ესპრის" ინციდენტთან პირდაპირ იყვნენ დაკავშირებულნი.

ალბარელის თქმით, ცსს-მ ლსდ გადააქცია შეტევის იარაღად და მსგავსი ექსპერიმენტები გამოიყენა 5700-მდე ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეზე 1953-1965 წლებში.

ალბარელის წყაროები არ უთითებენ იყვნენ თუ არა საქმის კურსში საფრანგეთის სპეცსამსახურები. აშშ-ს საინფორმაციო წყაროების ცნობით, საფრანგეთის დაზვერვის სამსახურმა ცსს-სგან მოითხოვა ახსნა-განმარტება ალბარელის მიერ მოტანილ მხილებებთან დაკავშირებით. თუმცა, თვით საფრანგეთის დაზვერვის სამსახური ამ ფაქტს უარყოფს.

პონ-სენტ-ესპრ-ს მცხოვრებთ ჯერაც სურთ გაიგონ, რატომ გახდნენ ისინი ასეთი საშინელი და აპოკალიფსური ექსპერიმენტის მსხვერპლნი...თუმცა მათი სურვილი სურვილად რჩება.

სამწუხაროდ არსებობს უამრავი ახალი ნარკოტიკული ნივთიერება რომლის გავრცელება კატასტროფულ შედეგებს გამოიწვევს. ნივთიერება, რომელსაც არ გააჩნია არც სუნი და არც გემო. მისი სახელია ბურუნდანგა, მას მოიპოვებენ ბორაჩეროს ხისგან, რომელიც პრაქტკულად ყველა სამხრეთამერიკულ პარკში ხარობს. ხოლო მისი ერთი გრამი სულ რამოდენიმე დოლარი ღირს, რაც ბევრად ნაკლებია კოკაინის ღირებულებაზე.

ასევე ახალი ნარკოტიკია სკოპოლამინი რამოდენიმე მილიგრამი საკმარისია შეურიონ თამბაქოს ან სასმელის დოზას და ადამიანის საკუთარი ნება, რომელიც მოსწევს ასეთ სიგარეტს ან დალევს სასმელს, რამოდენიმე წამში სრულიად დაითრგუნება, და გადაიქცევა რობოტად, სხვისი სურვილების მორჩილ და უსიტყვო შემსრულებლად.

აი როგორ აღწერს სკოპოლამინის მოქმედებას ნარკოდილერი დემენსია ბლეკი: "ის გადაგაქცევთ უტვინო ზომბად, თქვენ ყველაფრის გაკეთებას დაიწყებთ, აბსოლუტურად ყველაფრისა, რასაც გეტყვიან". ნარკოტიკის ამგვარი დახასიათება ბლექისგან მოისმინა რეპორტიორმა რაიან დაფიმ, რომელიც კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში იმყოფებოდა და სადაც შეიმჩნევა მზაკვარი ნარკოტიკის მზარდი პოპულარობა. ამასთან ძალზედ ძნელია ადამიანს შეამჩნიო, რომ ის შეპყრობილია "ეშმაკის სუნთქვით". მხოლოდ გამოცდილი ნარკომოვაჭრე, ისეთი როგორიცი ბლექია, მიხვდება მსხვერპლის თვალებით, რომ ის უკვე მზადაა.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# ხურშიდ აჰმედ-ფაშა — დიდი ოსმანი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე



ხურშიდ აჰმედ-ფაშა კავკასიაში დაიბადა და ქართული წარმომავლობის იყო. სიყმაწვილეში სტამბულში ჩაიყვანეს, სადაც იანიჩართა კორპუსში ჩაირიცხა. მან სულთან მაჰმუდ II-ის კეთილგანწყობა მოიპოვა და წლების განმავლობაში რამდენიმე მაღალი სახელმწიფო თანამდებობა ეკავა.

1802 წელს, ეგვიპტიდან საფრანგეთის ჯარების ევაკუაციის შემდეგ, ხურშიდ-ფაშა უდიდესი საპორტო ქალაქის, ალექსანდრიის ბეიდ დაინიშნა. 1804 წლის მარტში კი — ეგვიპტის ოსმანთა ფაშად (გუბერნატორად). მისი მოადგილე მუჰამედ ალი-ფაშა გახდა. იგი ხელმძღვანელობდა ქაიროს თავდაცვას, მან აიძულა აჯანყებული მამელუქები, მოეხსნათ ალყა და უკან დაეხიათ.

ამ პერიოდში მუჰამედ ალის პოპულარობა მოსახლეობას შორის ძალიან გაიზარდა. ამასობაში, ოსმანთა ფაშამ აჰმედ-ხურშიდმა აღადგინა თურქული უღლის ყველა საშინელება: კონსტრიბუცია დაადო მოქალაქეებს, აიყვანა მძევლები და გაღატაკებული სოფლებიდან აკრიბა მოსაკრებელი.

1805 წლის მაისში ქაიროში აჯანყებამ იფეთქა. აჰმედ-ხურშიდ ფაშა ჩამოაგდეს და ძალაუფლება ჩამოართვეს. შეიხთა საკრებულომ ეგვიპტის მმართველად მუჰამედ ალი-ფაშა გამოაცხადა. სულთანი სელიმ III იძულებული იყო, იგი ეგვიპტის ფაშად ელიარებინა.

1809 წლის მარტში აჰმედ ხურშიდ-ფაშა სერბიაში გაგზავნეს ალბანელების აჯანყების შასახშობად, რომელსაც ყარაგიორგი ხელმძღვანელობდა.

1812 წლის 5 სექტემბერს აჰმერ ხურშიდ-ფაშა ოსმანთა იმპერიის დიდ ვეზირად დაინიშნა.

იგი, როგორც თურქეთის ჯარების მთავარსარდალი, სერბთა აჯანყებასა და 1813 წლის ოქტომბერში ბელგრადის აღებას ხელმძღვანელობდა. იმავე წელს ხურშიდ-ფაშა ბოსნიის გუბერნატორად დაინიშნა და მონაწილეობას იღებდა სერბთა მეორე (1815-1817 წწ.) აჯანყების ჩახშობაში.

1820 წლის ნოემბერში ხურშიდ-ფაშა მორეის (პელოპონესი) გუბერნატორად დაინიშნა. მისი რეზიდენცია ტრიპოლიში მდებარეობდა. ასევე თურქეთის ჯარის მეთაურად, რომელსაც იანინელი ალი-ფაშას აჯანყება უნდა ჩაეხშო.

1821 წლის იანვარში აჰმედ ხურშიდ-ფაშა ჯართან ერთად ტრიპოლიდან ჩრდილოეთისკენ გაემართა. რამდენიმე თვის შემდეგ, საბერძნეთში თურქების წინააღმდეგ მიმართულმა დიდმა ბერძნულმა აჯანყებამ იფეთქა.

სარასკირმა ხურშიდ-ფაშამ სულთანს საბერძნეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ აცნობა და თურქ მხედართმთავრებს ომერ-ვრიონსა და კოცა მეჰმერ-ფაშას ჩაეხშოთ ცენტრალურ საბერძნეთის აჯანყება, თვითონ კი გეგმავდა პელოპონესზე თავდასხმას.. მან ადგილობრივი გარნიზონის გასაძლიერებლად ტრიპოლიში გაგზავნა მუსტაფა-ბეი 3-ათასიანი რაზმით. თავად ხურშიდ-ფაშა იანინას ციხესიმაგრის ალყას ხელმძღვანელობდა. ომირვრიონმა და კოსა მეჰმედმა ვერ მოახერხეს ცენტრალურ საბერძნეთში აჯანყების სწრაფად ჩახშობა. ხანგრძლივი ალყის შემდეგ ბერძენთა რაზმებმა თეოდორას კოლოკოტრონის ხელმძღვანელობით 1821 წლის 23 სექტემბერს ტრიპოლი აიღეს, სადაც მდებარეობდა ხურშიდ-ფაშას რეზიდენცია.

1822 წლის იანვარში თურქეთის ჯარებმა აჰმედ ხურშიდ-ფაშას მეთაურობით აიძულეს ქალაქი იანინა, დანებებოდა. ალი-ფაშა შეიპყრეს და დასაჯეს. პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა ხურშიდ-ფაშა ალი-ფაშას ქონების უკანონო მითვისებაში დაადანაშაულეს. მან სტამბოლში 40 მილიონი პიასტრი გაგზავნა წერილთან ერთად, რომ ისინი ალი-ფაშას სამალავებში იპოვეს, მინისტრებმა კი განაცხადეს, რომ ფაშას ქონება 500 მილიონი პიასტრი იყო. ხურშიდ-ფაშა დაადანაშაულეს სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში და თანამდებობა დაატოვებინეს.

1822 წლის ივლისში გადამწყვეტ ბრძოლაში დერვენაკიასთან ახლოს, თურქეთის არმიამ მაჰმუდ დრამალის მეთაურობით, საბერძნეთის ჯარისგან მარცხი განიცადა და 20 ათასზე მეტი ადამიანი დაკარგა. თურქეთის სულთანმა ხურშიდ-ფაშას უბრძანა, თურქეთის ჯარის მეთაურობა აეღო ხელში. ხურშიდ-ფაშას მოწინააღმდეგეები აგრძელებდნენ მის წინააღმდეგ ინტრიგების ხლართვას. მტრებმა აგენტები გაგზავნეს ხურშიდის მოსაკლავად, მან შეიტყო ამის შესახებ, მაგრამ ამის თავიდან ასაცილებლად არაფერი გაუკეთებია. პირიქით, 1822 წლის 30 ნოემბერს შხამი მიიღო და ისე დაასრულა სიცოცხლე.

მოამზადა
**ბელა გველესიანმა**
568 90 81 22



1. [illegible] ქართლში
2. [illegible]
3. სიგრძის საზომი ერთეული (ძვ.)
4. სიკო დოლიძის ფილმი
5. ძაღლი [illegible]
6. [illegible]
7. ქართველი მხატვარი
8. ერთგვარი ლიქიორი
9. [illegible]
10. ბალახით მკურნალობა
11. მორალი, ზნეობა
12. [illegible] საფრანგეთში
13. [illegible]
14. ამერიკელი რეპერი
15. [illegible]
16. . . . [illegible]
17. ყვავილნარი
18. [illegible]
19. [illegible]
20. [illegible]
21. [illegible]
22. ხილის [illegible] სასმელი
23. [illegible]
24. XVI ს. ქართველი [illegible]
25. [illegible]
26. ჯონი დეპის ფილმი
27. [illegible]
28. [illegible]
29. . . . [illegible]
30. . . . კაზანოვა
31. [illegible]
32. . . . [illegible]
33. [illegible]
34. [illegible]
35. . . . მარლი
36. [illegible]
37. [illegible]



# კროსვორდი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ■ | 1 | ■ | 2 | ■ | 3 | ■ | ■ | 4 | ■ | 5 | 6 | | 7 | |
| 8 | | | | | | | | | | ■ | | ■ | | ■ |
| ■ | | ■ | | ■ | | ■ | ■ | | ■ | 9 | | | | |
| 10 | | | | | | | ■ | | ■ | ■ | | ■ | | ■ |
| ■ | | ■ | | ■ | | ■ | ■ | 11 | | | | | | |
| ■ | | ■ | | ■ | 12 | | 13 | | ■ | ■ | | ■ | | ■ |
| 14 | | | | | | ■ | | ■ | 15 | ■ | | ■ | ■ | 16 |
| ■ | | ■ | ■ | ■ | | ■ | 17 | | | | | | | |
| 18 | | 19 | | 20 | ■ | ■ | | ■ | | ■ | | ■ | ■ | |
| | ■ | | ■ | | ■ | 21 | | | | | ■ | 22 | | |
| 23 | | | | | ■ | ■ | | ■ | | ■ | ■ | | ■ | |
| | ■ | | ■ | | ■ | 24 | | | | | | | | |
| 25 | | | | | 26 | ■ | ■ | ■ | | ■ | ■ | | ■ | ■ |
| | ■ | | ■ | ■ | | ■ | 27 | | | | | | | 28 |
| 29 | | | | | | | ■ | ■ | | ■ | ■ | | ■ | |
| | ■ | | ■ | ■ | | ■ | ■ | 30 | | | 31 | | | |
| | ■ | | ■ | ■ | 32 | | | | ■ | ■ | | ■ | ■ | |
| 33 | | | | | | ■ | ■ | | ■ | ■ | 34 | | | |
| ■ | ■ | ■ | ■ | ■ | 35 | | | | | | | ■ | ■ | |

შვეულად: 1. ინგლისური სპორტული ავტომობილი. 2. „ლუთაშვილის" პერსონაჟი რომელმაც „კალოს კურკის" ზომის ბრილიანტი გადაყლაპა. 3. [illegible] ... [illegible]. 4. ანტიკური მითოლოგიის [illegible] ლექსი. 6. ამერიკული ფილმი. 7. [illegible]. 13. თამარ მეფის ქმარი. 15. ძველად რომელიმე ძლიერი სახელმწიფოს ქვეშევრდომი ქვეყანა. 16. [illegible], ავტორი ლექსისა „[illegible]". 18. რძიანი მცენარე, [illegible]. 19. [illegible]. 20. [illegible] ... [illegible]. 22. [illegible]. 26. [illegible]. 28. [illegible]. 30. [illegible]. 31. ცხენისა და ვირის ნაშიერი.

თარაზულად: [illegible], თხელი სადი. 8. [illegible] რუსი პოეტი. 9. [illegible]. 10. [illegible]. 11. ბერძნული მითოლოგიით [illegible]. 12. საერთო [illegible]. 14. [illegible]. 17. [illegible] სახელი. 18. [illegible]. 21. [illegible]. 22. ... [illegible]. 24. [illegible]. 25. [illegible]. 27. [illegible]. 29. [illegible]. 30. [illegible]. 32. [illegible]. 33. [illegible]. 34. [illegible]. 35. [illegible], რომელშიც [illegible] 29 დღეა.

# ლაბირინთი

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რ | ა | კ | ი | ი | ე | ლ | დ | ლ | მ | ი | ჯ | ი | კ |
| ა | დ | რ | ა | მ | ფ | კ | ი | ა | დ | ა | კ | ს | ა |
| ვ | დ | ი | მ | მ | ს | უ | ი | თ | ე | ი | ა | დ | ი |
| ზ | ე | ს | ა | ა | ე | პ | ტ | ფ | კ | ც | ხ | ა | რ |
| ლ | ლ | ე | ზ | რ | ა | ი | ე | ო | ლ | ა | ბ | ს | ტ |
| უ | ი | ტ | ა | ნ | დ | ა | ე | ბ | ა | რ | ა | ი | ა |
| ი | კ | ა | ა | ს | ა | ნ | ი | რ | უ | თ | ი | ს | მ |
| მ | ი | ს | ს | ო | ა | ი | ი | ტ | ი | ი | კ | ა | ი |
| ი | რ | უ | ი | ლ | რ | მ | ა | ს | ტ | რ | ა | კ | რ |
| ა | ფ | რ | ა | ა | ბ | ი | ტ | რ | ი | ა | დ | ვ | უ |
| თ | ა | კ | რ | ი | ა | ზ | ო | ტ | ი | ბ | ა | ა | მ |

1. პროდუქტების ფასის ნიშნები; 2. [illegible]; 3. [illegible]; 4. [illegible]; 5. [illegible]; 6. [illegible]; 7. ... [illegible]; 8. [illegible]; 9. [illegible]; 10. [illegible]; 11. [illegible]; 12. [illegible]; 13. [illegible]; 14. [illegible]; 15. [illegible]; 16. [illegible]; 17. [illegible]; 18. [illegible]; 19. [illegible]; 20. [illegible]; 21. [illegible]; 22. [illegible]; 23. [illegible]

# შიფრვორდი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ■ | 25 | ■ | 22 | ■ | 11 | 21 | 6 | 14 | 33 | 11 | 6 |
| 3 | 1 | 18 | 9 | 29 | 6 | ■ | ■ | 28 | ■ | 6 | ■ |
| ■ | 16 | ■ | 29 | ■ | 3 | 9 | 18 | 19 | 6 | 14 | 9 |
| ■ | 7 | 16 | 24 | 18 | 6 | ■ | ■ | 6 | ■ | 9 | ■ |
| ■ | 28 | ■ | 16 | ■ | 14 | 9 | 30 | 18 | 8 | 14 | 6 |
| ■ | 19 | ■ | 10 | ■ | 20 | ■ | ■ | 6 | ■ | 1 | ■ |
| 26 | 9 | 20 | 9 | 16 | 6 | ■ | 32 | ■ | ■ | 18 | ■ |
| 9 | ■ | 9 | ■ | 1 | ■ | 15 | 19 | 5 | 4 | 6 | 9 |
| 27 | 8 | 12 | 24 | 14 | 6 | ■ | 28 | ■ | 8 | ■ | 2 |
| 9 | ■ | 26 | ■ | 6 | ■ | 13 | 18 | 9 | 14 | 30 | 6 |
| 14 | ■ | 22 | ■ | ■ | 27 | ■ | 6 | ■ | 12 | ■ | 2 |
| 9 | 3 | 24 | 14 | 9 | 16 | 6 | ■ | 31 | 9 | 21 | 6 |
| ■ | 1 | ■ | 6 | ■ | 9 | ■ | ■ | 9 | ■ | 1 | ■ |
| ■ | 5 | ■ | 23 | ■ | 8 | ■ | 5 | 16 | 28 | 16 | 9 |
| 17 | 6 | 18 | 9 | 16 | 6 | ■ | ■ | 9 | ■ | 6 | ■ |

| | |
|---|---|
| ა-9 | ს- |
| ბ- | ტ- |
| გ- | უ- |
| დ- | ფ- |
| ე- | ქ- |
| ვ- | ღ- |
| ზ- | ყ- |
| თ- | შ- |
| ი-6 | ჩ-4 |
| კ-22 | ც- |
| ლ- | ძ- |
| მ- | წ- |
| ნ-14 | ჭ- |
| ო- | ხ- |
| პ- | ჯ- |
| ჟ- | ჰ- |
| რ-16 | |

# ჰოლივუდის მრავალშვილიანი მამები

**ბავშვები ბედნიერებაა და ამის შეცვლა შეუძლებელია. ალბათ, სწორედ ამას ფიქრობენ ჰოლივუდელი ცნობილი ადამიანები. ზოგიერთ გამოჩენილ მამაკაცს ხუთი და მეტი შვილი ჰყავს, მაგრამ ეს სულაც არ უშლით ხელს, ბედნიერები იყვნენ საყვარელი ქალებისა და შვილების გვერდით. სწორედ ისინი უნდა გახდნენ მისაბაძი მაგალითი იმ წყვილებისთვის, ვისთვისაც ოჯახზე ზრუნვა და საოჯახო საქმეები გაუსაძლის რუტინად იქცა.**



### ჯორჯ ფორმენი

ცნობილი მოკრივე ჯორჯ ფორმენი ათ შვილს ზრდის. იგი ცნობილია, როგორც ერთგული მეოჯახე. ჯერ კიდევ 1985 წელს სპორტსმენმა ცოლად შეირთო მერი ჯოანი, რომელიც ჯორჯის ყველა შვილის დედა გახდა. ჰოლივუდის ყველაზე მრავალშვილიანი ოჯახი 5 ვაჟს და 5 ქალიშვილს ზრდის. ჯორჯ ფორმენი მოყვარული მეუღლე და მამაა.

### ედი მერფი

მსოფლიოში ცნობილი კომიკური მსახიობი ედი მერფი „რვაჯერ" მამაა. იგი პირველად 1989 წელს გახდა მამა, მას ვაჟი შეეძინა. ბავშვის დედის შესახებ არაფერია ცნობილი. მალე ედის კიდევ გაუჩნდა ვაჟი ტამარა მურისგან. ნიკოლ მიჩელთან ქორწინებაში ედი მერფის 5 შვილი შეეძინა. 2005 წელს წყვილი ერთმანეთს დაშორდა. მერვე შვილი მსახიობს 2007 წელს გაუჩნდა მელანი ბრაუნთან. ედი დიდხანს უარყოფდა ბავშვის მამობას, მაგრამ დნმ-ის ანალიზის შემდეგ აღიარა, რომ ბავშვი მისია.




### მელ გიბსონი

მელ გიბსონიც რვა შვილის მამაა. იგი 1980 წელს დაქორწინდა რობინ მურზე. სწორედ ამ ქალმა გაუჩინა მსახიობს ექვსი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. დღეისათვის წყვილს საერთო შვილიშვილები ჰყავს. მაგრამ სამწუხაროდ, ქორწინება, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში იდეალურად თვლიდნენ, დაინგრა. 2009 წელს რობინმა ხმამაღლა განაცხადა განქორწინების შესახებ. რამდენიმე თვის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ მელ გიბსონს ახალი მეგობარი ჰყავს, რუსი ესტრადის მომღერალი ოქსანა გრიგორიევა, რომელთანაც მსახიობს გოგონა შეეძინა.

### მიკ ჯაგერი

როკ-მუსიკოს მიკ ჯაგერს სხვადასხვა ქალებისგან 7 შვილი ჰყავს. მისი პირველი ცოლი ბიანკა დე მასიასი იყო და სწორედ მასთან შეეძინა პირველი შვილი. მალე წყვილი ერთმანეთს დაშორდა, სავარაუდოდ, მიზეზი ჯერი ჰოლთან ჯაგერის რომანი გახდა, რომელმაც მას ოთხი შვილი გაუჩინა. ეს ქორწინება მოდელ ლუჩიანო მისადთან რომანის გამო დასრულდა, რომელიც მიკ ჯაგერის მეშვიდე შვილის დედა გახდა.



### ქევინ ქოსტნერი

მსოფლიოში ცნობილი ჰოლივუდელი „ბოდიგარდი" ქევინ ქოსტნერი 7 შვილის მამაა. მსახიობს სამი შვილი პირველი ქორწინებიდან ჰყავს, სამი — მეორე ქორწინებიდან და ერთიც ქორწინების გარეშე შობილი.

60 წლის ასაკში იგი თითქოს „დაჭკვიანდა" და ამჟამად თავის მეორე ცოლთან, კრისტინ ბაუმგარტნერთან ერთად ცხოვრობს.

### სტივენ სპილბერგი

ცნობილი ჰოლივუდელი რეჟისორი და პროდიუსერი სტივენ სპილბერგი მრავალშვილიანი მამაა. პირველმა მეუღლემ, მსახიობმა ემა ირვინგმა მამაკაცს პირველი ვაჟი აჩუქა. მალე წყვილი ერთმანეთს დაშორდა და ბავშვი სტივენთან დარჩა. სპილბერგის ოჯახში, საკუთარის გარდა, აყვანილი ბავშვებიც იზრდებიან. რეჟისორი მეორედ ქეით კეპშოუზე დაქორწინდა. ამ ქორწინებაში მათ სამი შვილი შეეძინათ. გარდა ამისა, წყვილმა კიდევ ორი ბავშვი იშვილა. ამჟამად ქეითი და სტივენი ერთად ზრდიან ბავშვებს.





### ოზი ოსბორნი

ცნობილი მუსიკოსი ოზი ოსბორნიც 6 შვილის მამაა. მისი პირველი ცოლი ტელმა რაილი იყო, რომელმაც მამაკაცს ორი შვილი გაუჩინა. მალე წყვილი ერთმანეთს დაშორდა და ოზიმ ცოლად შეირთო შერონ ოსბორნი. წყვილს 3 შვილი შეეძინა. ოსბორნის ოჯახში ერთი აყვანილი ბავშვია, რომლის ბიოლოგიური დედა მომღერლის პირველი ცოლია.

### ბრედ პიტი

ჰოლივუდის ყველაზე ლამაზი მსახიობი ბრედ პიტი 6 შვილს ზრდის. მისი ცოლი და ბავშვების დედა სექსუალური მსახიობი ანჯელინა ჯოლი გახლავთ. ექვსი შვილიდან სამი საკუთარია, სამი — აყვანილი. ბევრი ჭორისა და მითქმა-მოთქმის მიუხედავად, ბრედ პიტი და ანჯელინა ჯოლი ერთად ბედნიერად ცხოვრობენ და შვილებს სიყვარულით ზრდიან. ვარსკვლავური წყვილი კვლავაც შეუდარებელია როგორც ეკრანზე, ასევე ოჯახში.

### პირს ბროსნანი

კიდევ ერთი მრავალშვილიანი მამა, რომელსაც 5 შვილი ჰყავს, პირს ბროსნანია. ცნობილ მსახიობთან შეხვედრამდე პირსის მომავალ ცოლს უკვე ჰყავდა ორი შვილი. ბავშვების მამის გარდაცვალების შემდეგ ისინი პირსმა იშვილა და საკუთარი შვილებივით ზრდის. პირსი და კასანდრა 1980 წელს შეუღლდნენ. მათ საერთო შვილი შეეძინათ, ხოლო 1991 წელს, მიუხედავად დიდი ხნის მკურნალობისა, ქალი კიბოთი დაიღუპა. ათი წლის შემდეგ პირს ბროსნანი მეორედ დაქორწინდა ჟურნალისტ კილი შეი სმიტზე. მათ ორი საერთო ვაჟი ჰყავთ.






მოამზადა
**ბელა გველესიანმა**
568 90 81 22

ISSN 2233-3983

**იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში. აგლაძის 39.**
**E-mail: asavaliprint@yahoo.com**